

ayayaya gusankidaas

50 ഗാഗര

adamination and and an additional and a second a second and a second a

გუშინ ქუთაისში შემზარავი ამბავი მოხდა: საკუთარ რე გუნდის ხელმძღვანელი იყო. ნადირაძეების ოჯახის თემურ ნადირაძე და მისი ოჯახის სამი წევრი - მეუღლე, შვილი და რძალი. ნადირაძე ბოლოს "ტორპედოს" ბავშვთა გუნდს ავარჯიშებდა, მანამდე კი "ტორპედოს" მეო-

სახლში მოკლეს ქვეყნის დამსახურებული მწვრთნელი კიდევ ერთი წარმომადგენელი ნიკა ნადირაძე, მადლობა ღმერთს, ცოცხალია. ის ბოლნისის "სიონში" თამაშობს და ინციდენტის დროს მშობლიურ ქალაქში არ იმყოფებოდა.

ርאሪ ሮመ ጣደበ 7F20U72EU



633793 UP33 90623KM30?

6CPPIDA6 HERHHAVEN

36080065080 ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ നത്യായ്ന უპიᲠიᲡპიᲠᲓᲔᲑᲐ

5-9

8M3anmლJAN 20 @JJJaaJAL TUSLISCY TUELOTUSFCY89UF

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: **ᲒᲣᲜᲓᲨᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲡ Პ**ᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ **ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ**Ს ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲕᲘᲬᲕᲔᲕ



30200 and 302000 ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ:

4303997 476076 ふりりりをいった。 うべ 3NBN. 47 PG397 5









ᲐᲐᲞᲔᲚᲝᲛ ᲒᲐᲐᲤᲝᲠᲛᲐ. JN889355N angnu

ᲡᲐᲝᲠᲒᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲔᲜᲒᲠᲘ

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ പറൗട്രേപ് താദ്യ പ്ര R)PJ (JE)

ᲒᲔᲜᲘᲢᲔᲡᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ: ᲙᲐᲚᲐᲫᲔ ᲗᲣ ᲒᲐᲠᲐᲘ?





გახსენი...



www.pfl.ge

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

1577 SM3anM576N **20** CS CEMBER JACEBEELES



კლაუს ტოპმიოლერი და ნოდარ ახალკაცი

მინგე თბილისში 20 დეკემბერს ჩამოვლენ. მათთან მოლაპარაკებათა დასკვნითი ეტაპი გაიმართება. თუმცა ახლა-ვე შემიძლია გითხრათ, რომ კონტრაქტის გაგრძელებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორებს ვერ ვხედავთ ვერც ჩვენ და ვერც გერმანელი მწვრთნელები. ერთი სიტყვით, მწვრთნელები ჩა-

მოვლენ, კიდევ ერთხელ გავისაუბრებთ ხელშეკრულების პუნქტებზე და კონტ-რაქტს წლეულსვე გავაგრძელებთ", - ეს უთხრა გუშინ "ლელოს" ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ.

ერთი განცხადება გუშინ კლაუს ტოპმიოლერმაც გააკეთა, თUმცა სხვა თემაზე. საკითხი ზურაბ ხიზანიშვილის


ამბავმა ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ფეხბურთელის ამა თუ იმ მატჩში უთამაშებლობა თავისთავად არ უნდა გახდეს ასეთი მსჯელობის საგანი, თუმცა ზურას შემთხვევაში ვითარება დაძაბა იმ ფაქტმა, რომ ხიზანიშვილის უთამაშებლობა პოლიტიკური მოტივით იყო გამოწვეული - ზურა გაყრელიძის დიშვილის ქმარია.

"ეროვნული ნაკრების დაკომპლექ-ტება ხდება მხოლოდ და მხოლოდ სპორტულ პრინციპებზე დაყრდნობით, ანუ ცალკეული ფეხბურთელის სპორტული კონდიციებიდან გამომდინარე უშუალოდ მატჩის წინ.

კატეგორიულად და ერთხელ და სამუდამოდ ვაცხადებ, რომ ეროვნული ნაკრე-ბის დაკომპლექტებისას მხედველობაში არასდროს მიმიღია ფეხბურთელთა პოლიტიკური შეხედულებები. ამ კუთხით საკითხის დაყენება სრული აბსურდია.

რაც შეეხება კონკრეტულად ზურაბ ხიზანიშვილს, საქართველო - ლიტვის მატჩის წინა დღეს, დასკვნით ვარჯიშამდე რამდენიმე საათით ადრე ზურამ საკუთარი ტრავმის შესახებ გვამცნო. სწორედ ტრავმის გამო, ხიზანიშვილის თამაში ამ მატჩში ავტომატურად გამოირიცხა. ძალზედ გულდასანვეტია, რომ ბოლო დროს ამ თემასთან დაკავშირებით სხვადასხვა უპასუხისმგებლო განცხადება გაკეთდა და არაერთი სრულიად აბსურდული ვერსია გავრცელდა," -ასეთია კლაუს ტოპმიოლერის პოზიცია.

დავით (3383)ძე



3360133533NSN **&**%)6L93%&3)

ზურაპ მენთეშაშ3ილის ტრანსფერი "კაიზერსლაუტერნში" გადაწყვეტილი რომ არის, იაროსლავის "შინიკის" პრეს-

სამსახურის ცნობაც ადასტურებს. შეგახსენებთ, რომ "შინიკმა" საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ლატვიის ჩემპიონ "ვენტსპილსში" ერთი წლით გაა-ნათხოვრა, საიჯარო ვადა დეკემბერში დასრულდა და მენთუშაშ-ვილი რუსულ კლუბთან ინფორმაციის გარკვევას ცდილობდა.

იაროსლავლელები პრემიერლიგაში გადავიდნენ და შემადგენლობის გაცხრილვა დაიწყეს. თერთმეტი ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენეს, მათ შორის, მენთეშაშვილიც.

როგორც შევიტყვეთ, კლუბებმა მოლაპარაკება დაიწყეს და სატრანსფერო თანხას ათანხმებენ.

მერაბ მამულაშვილი



გოგიტა გოგუ

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲒᲝᲒᲘᲢᲐ ᲒᲝᲒᲣᲐᲡᲗᲐᲜ

ᲠᲣᲡᲔᲑᲛᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲑᲜᲘᲔᲡ JW 3UBU' WY PGJ97

12 Დეპემბერს რამენსკოეს "სატურნმა" პირველი შეკრება დაიწყო. გაჯი გაჯიევმა გუნდი მოსამზადებ-ლად კისლოვოდსკში წაიყვანა და დას-ვენებული მოთამაშეების ფიზიკური

კონდიციების აღდგენას შეუდგა. "სპორტ-ექსპრესის" ინფორმაციით, დღემდე ღიად რჩება გოგიტა გოგუას საკითხი, რომელსაც იჯარის ვადა დაუსრულდაო. "სპორტდეი" კი მანამდე მიუთითებდა, თითქოს გოგიტამ კლუბი დატოვა.

აბსოლუტურად გაუგებარი ვითა-რებაა. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი წელს, თებერვლის დასაწყისში ჩაირიცხა "სატურნში", სამნლიანი კონტრაქტი გააფორმა და როგორც მაშინ გვითხრა, "ხიმკის-თან" და ავადსახსენებელ ანდრეი ჩერვიჩენკოსთან ურთიერთობას წერტილი საბოლოოდ დაუსვა.

გოგუა "სატურნც" არც შეკრებაზე გაჰყოლია, თბილისშია და ვითარებაში თავად გვარკვევს.

გოგიტა, "სპორტ-ექსპრესი" წერს, თითქოს "სატურნთან" საიჯარო ვადა დაგისრულდა. არადა, ჩარიცხ-ვის დროს გვითხარი, რომ გუნდმა "ხიმკიდან" გამოგისყიდა.

- მე ვიცი, რომ წლის დასაწყისში მოვილაპარაკეთ სამწლიან კონტრაქტზე და მას ხელი მოვაწერე კიდეც. ახლა რა

ხდება, თავადაც ვერ გავრკვეულვარ. - შეკრებაზე გუნდს რატომ არ გაა

- სწორედ ამ გაურკვევლობის გამო. რა ხდება, "სატურნს" რა მოლაპარაკება აქვს ჩემს შესახებ, ვის რა სურს და ვინ რას ითხოვს, უკვე არ ვიცი. რუსებ მა ძალიან დამაბნიეს.

- "ხიმკიმ" თავი რატომ წამოყო?

- არა, "ხიმკი" არაფერ შუაშია. - **ანუ ისევ ჩერვიჩენკო ითხ**ოვს

- ეტყობა, ყოველ შემთხვევაში, ასე

- როდის უნდა დასრულდეს ეს დახლართული ისტორია?

- წესით, ყველაფერი ერთ კვირაში მეცოდინება.

- გაურკვევლობა იქით იყოს და სხვა საინტერესო წინადადება თუ გა-

- არ დავიკარგები. თუმცა მე ჯერ გუნდის შეცვლაზე არც ვფიქრობ. იმე-დია, ვითარება გაირკვევა და ამ გაუგებ-რობას მალე დაესმება წერტილი. მე "სა

ტურნს" ვეკუთვნი და არა ვინმე სხვას. - კოჭი ისევ გტკივა თუ მოირჩინე? - კი, დღემდე მტკივა და არ ვჩქარობ ვარჯიშს. მინდა კარგად მოვირჩინო,

მერე პრობლემები რომ არ შემექმნას.

მერაბ მამულაშვილი

86199933 1560379 **%ᲔᲡᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ** 56806530

ᲓᲘᲓᲘ <u>ᲒᲠᲐᲛ</u>ᲞᲚᲘᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 5ᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ


ედუარდო დელგადო და მისი მწვრთნელი შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინაშები ამანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟი-რების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტი-ნის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არ-გენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევ-როპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით. ფეხბურთელები არ-გენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 15 იანვრიდან.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველთა მიღება ინარმოებს მისა-

მართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას ანარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 24 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.

യാദാന്ത്യാര്

ᲗᲣ ᲐᲓᲔ ᲣՐᲣᲗሀᲔደሀ MK368N33N?



მალხაზ ას

ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის "ლოკომოტივის" მცველმა მალხაზ ასათიანმა, შესაძლოა კარიერა იტალიაში, კერძოდ კი "ფი-ორენტინაში" გააგრძელოს. ანალოგიური ანაც მსგავსი შინაარსის ინფორმაცია გუშინ არც რუსულ დაარც იტალიურ წყაროებს არ გაუვრცელებიათ. თუმცა გავიგეთ "ფიორენტინას" კარგი გამთამაშე ბელი უნდა, მცველებიც ტრავმირებული ჰყავს, ასათიანს ორივე პოზიციაზე შეუძლია თამაში და ეს ფეხბურთელი "იებისთვის" ზეღგამოჭრილი ვარიანტიაო.

ფეხბურთელთან დაახლოებული წყარო აცხადებს, რომ მალხაზ ასათიანი ამ ორიოდე დღის წინათ მართლაც გაეგზავრა იტალიაში თუმცა პირი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, არც ადას-ტურებს და არც უარყოფს "ფიორენტინას" ინტერესს ასათიანის მიმართ.

ვითარებაში გასარკვევად თავად მალხაზს დავუკავშირდით.

"იტალია? არა მოსკოვში ვარ. ჩემს გვერდით ვალერი აბრამიძე, მიხეილ აშვეთია და სხვა აქაური ქართველები არიან. "ფიორენტინას" ინტერესის ამბავმა ჩემამდეც მოაღნია, მაგრამ ამ საკითხზე ახ ლა მეტს ვერაფერს გეტყვით. ვნახოთ ეს უბრალო ინტერესია, თუ გაგრძელებაც მოყვება", - გვითხრა გუშინ სატელეფონო საუბარში

მალხაზ ასათიანმა რუსეთში განვლილი სეზონის დასაწყისში გა-აფრომა ახალი, 3 წლიანი კონტრაქტი მოსკოვის "ლოკომოტივთან". შესაბამისად რუსულ კლუბთან მას კიდევ ორწლიანი ვალდებულე-ბა აკავშირებს და "ლოკომოტივიც" არცთუ მცირე თანხას მოითხოვს ქართველი უნივერსალის სანაცვლოდ.

დავით ცაგაძე





3566060... 4789390



www.pfl.ge

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ



ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ

ᲓᲐ3ᲘᲗ ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ დიდი ხანია ფიფა-უეფაში მოღვაწეობს და საქართველოში იშვითად ჩნდება. სამწუხაროდ, ადამიანი, რომლის ხელმძღვანელობითაც თბილისის "დინამომ" ბოლო ოც წელიწადში უდიდეს წარმატებას მიაღწია ევროპაში, საქართველოში თითქმის არავის დასჭირდა.

თუმცა, პეტრიაშვილი ქართულ ფეხბურთში დაბრუნდა და კლუბის ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა. ამის შესახებ თავად გვესაუბრება.

- ბოლო დროს საქართველოში იშვიათად ჩანხართ. სად ხართ, რას საქმიანობთ?

- იმიტომ არ ვჩანვარ, რომ ჩემი საქმიანობა ფიფა-უეფას უკავშირდება. უეფამ მოსკოვის ცსკა-ს თამაშებზე დირექტორად დამნიშნა და როდესაც არმიელები სახლში არ თამაშობდნენ, ჩემპიონთა ლიგის სხვა მატჩების ან ნაკრებების შეხვედრების დირექტორად მიმავლენდნენ.

- რომელი მატჩები ჩაგაბარეს?

უნგრეთი-საქართველო, რუსეთი მაკედონია, ინგლისი-ისრაელი... სიმართლე გითხრათ, ყველა აღარც მახსოვს. ლიგის ყველა ტურში დაკავებული ვარ.

ამას გარდა, ფიფას ეგიდით აზიისა და აფრიკის ქვეყნებში სტადიონებისა და ინფრასტრუქტურის შემონმება დამევალა. იგივეს ევროპაშიც ვაკეთებ. თუმცა ევროპაში არსებულ ვითარებაზე ფიფაში წარმოდგენა გააჩნიათ, აზია-აფრიკაზე კი შედარებით ნაკლები ინფორმაციებია. ორ-ორჯერ ვიყავი ლიბერიაში, სიერა-ლეონეში, უგანდაში, სუდანში, ანგოლაში, შემდეგ აზიაში - ვიეტნამში, კამბოჯაში, სამხრეთ კორეაში. სხვათა შორის, ძალიან გამიკვირდა, როდესაც ვიეტნამში თბილისის "დინამო" და 80-იანი წლების ვარსკვლავები გაიხსენეს, ყიფიანი, ჩივაძე, შენგელია, გუცაევი..

სამხრეთ კორეაში 17-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის გენერალურ კოორდინატორად დამინშნეს. ახლა თითქმის ყველგან დამთავრდა სეზონი და თბილისში ჩამოვედი, დავისვენეპ.

- სამწუხაროდ, თქვენი კარიერა რაღაცით რეზო ჭოხონელიძეს გვახსენებს, უცხოეთში პატივისცემა და დაფასება არ გაკლიათ, საქართველოსთვის კი თქვენი ცოდნა და გამოცდილება გამოუყენებელი რჩება...

- ასეც ვერ ვიტყვი. ერთის მხრივ, შეუძლებელია ნორმალურმა ადამიანმა უარი თქვას ფიფას და უეფას წინადადებაზე, დიდ ასპარეზზე თქვას უარი. იქ ვალდებულებები გამაჩნია და ძალიან ძნელია, ერთდროულად უცხოეთში და საქართველოში საქმის კეთება. თუ საქმეს მანდობენ, ზერელედ ვერ მი-ვუდგები. ეს არაა სნობური მიდგომა, რომ უცხოეთში კარგია და აქ მუშაობა სასირცხვილოა.

როდესაც შესაძლებლობაა მაღალ დონეზე ვიმუშაო, ამაზე უარის თქმა პროფესიული თვალსაზრისით გაუმართლებელი იქნებოდა.

თუმცა გული საქართველოსკენ მომიწევს. დიდი ხანია ჩემს მეგობრებთან ერთად ვფიქრობდი აქ კლუბის დაარსებაზე, თითქმის, ორი წელი. შეიძლება, ასე უკეთესიც იყო, უფრო დეტალურად მოვიფიქრეთ, რა გვსურდა და ამ ჩანაფიქრისთვის ხორცი როგორ შეგვესხა.

მე "საბურთალოს" საფეხბურთო კლუბზე ვსაუბრობ, რომლის მეპატრო-

ნეც "იბერიაბიზნეს ჯგუფის" პრეზიდენტი ტარიელ ხეჩიკაშვილია. კლუბში თანამოაზრეები შევიკრიბეთ, მე, ტარიელი, კახა ჭუმბურიძე, გიორგი დევდარიანი, კახა ამირიძე. მათთან საქმის კეთება მესიამოვნება. ამიტომაც მივიღე წინადადება და "საბურთალოს" ვიცეპრეზიდენტი გავხდი. ეს ჯერ საფეხბურთო სკოლაა, უახლოეს პერიოდში კი კლუბი ჩამოყალიბდება და მჯერა, ამ ადამიანებთან ერთად წარმატებულ გზას გავივლი.

დავით პეტრიაშვილი

საქმე უემოციოდ არასდროს გამოვა, მაგრამ ეს ორი წელი ყველაფერს ვითვლიდით და ამიტომაც მჯერა ამ წამოწყებისა. "საბურთალო" უბნის გუნდადაა ჩაფიქრებული. ასეთი რამ ყველა წამყვან ევროპულ ქვეყანაში მიღებულია. ჩვენს პირობებშიც უბნის გუნდს აქვს მაყურებლის მოზიდვის და შეძენის პერსპექტივა. მჯერა, ეს იქნება მოტივირებული ხალხის წარმატებული გუნდი.

მერაბ მამულაშვილი

259

055,

550

cdn@cdn.



ვიტჯორჯიელთა კაპიტანი ლექსო კვახაძე დინამოსთან მატჩში

ᲙᲕᲐᲮᲐᲫᲔᲡ ᲗᲣᲠᲫᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲩᲜᲓᲐ

წინა სეზონის დასრულების შემდეგ იყო ლაპარაკი იმაზე, რომ "ვიტ ჯორჯიას" ცენტრალური მცველი და კაპი-ტანი ლექსო კვახაძე რუსული პრემი-ერლიგის "სატურნში" უნდა გადასუ-ლიყო. ტრანსფერი არ შედგა, ახლა კი კვახაძე ისევ აპირებს საქართველოდან ნასვლას.

"სამი წელი სტაბილურად ვითამაშე "ვიტ ჯორჯიაში" და ვფიქრობ, ახლა ნასვლის დროა. უფრო მაღალ დონეზე, უკეთეს ჩემპიონატში მსურს მოვსინჯო ბალა" - გვითხრა კვახაძემ, ვინც უკვე ეროვნული ნაკრების ფეხბურთელად

კლაუს ტოპმიოლერმა ის ბოლო მატჩებისთვის გამოიძახა. სულ კვახაძემ სამჯერ ითამაშა ეროვნულ გუნდში - შოტლანდიასთან და ყატართან შეცვლაზე, ხოლო აზერბაიჯანთან სასტარ-

"ნაკრებში თამაში და ადაპტაცია არ გამჭირვებია. ბიჭებმა თბილად მიმიღეს, ვარჯიშზე თუ თამაშში ყველა გვერდში მედგა"

კვახაძე 22 წლისაა, ტანმაღალი და ჯანმაგარი, სტაბილური და საიმედოა და ტოპის ყურადღებაც ალბათ ამიტომ მიიქცია.

კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი, ზურაპ ხიზანიშვილი, ლაშა სალუქვაძე - საქართველოს ნაკრების დაცვის ცენტრს ესენი ამაგრებენ და კვახაძისთვის იოლი არ იქნება, ეროვნულ გუნდში ადგილის მოძებნა.

"კონკურენცია მართლაც დიდია თუ ვინმე დისკვალიფიცირებული ან ტრავმირებული იქნება, ალბათ ,მაშინ მომეცემა ნაკრებში თავის გამოჩენის საშუალება. იმედიანად ვარ, რამდენჯერაც მათამაშეს ნაკრებში, თავი არ დამიზოგავს".

კვახაძეს "ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ ენურება,

გარდაცვალების გამო

მაგრამ ერთობ საეჭვოა, რომ იქამდე დარჩეს ამ გუნდში. მან გვითხრა, რომ კონკრეტული შემოთავაზება არ აქვს, თუმც არის რაღაც ვარიანტები თურქეთიდან და უკრაინიდანო. კვახაძის თქმით, ყველაფერი ერთ თვეში გაირკ-

ლექსოს "ვიტ ჯორჯიაზეც" ვკითხეთ, რომელმაც პირველი წრე მესამე ადგილით ჩაამთავრა.

"ასეთი შედეგით კმაყოფილი არ ვარ, მეტი შეგვეძლო. გაუთვალისწინე-ბელი ქულები დავკარგეთ, "სიონთან" და "ბორჯომთან", თორემ პირველ ადგილზე ვიქნებოდით. ყველა პრინციპულ მეტოქესთან კი წარმატებით ვითამაშეთ - მოვუგეთ "დინამოს" და "ამერს", სტუმრად ფრე ვერ ვითამაშეთ "ზესტაფონთან". ალბათ, მეტი მობილიზება გვმართებდა".

მეორე წრეში "ვიტ ჯორჯიას", ალბათ, მისი საუკეთესო ფორვარდი **ნიკა** გელაშვილი დატოვებს. კვახაძე-გელაშვილის წასვლით კი ამ გუნდს მართლაც დიდი ძალა მოაკლდება.

"თუ მე და გელაშვილი წავალთ, რა თქმა უნდა, ეს უმნიშვნელო დანაკლისი არ იქნება "ვიტ ჯორჯიასთვის", მაგრამ იმედი მაქვს, რომ გუნდი კარგ შევსებას მიიღებს. "ვიტ ჯორჯიას" სულ ტოვებენ წამყვანი ფეხბურთელები, მაგრამ მაინც მოწინავეთა შორისაა"

ამ დროისთვის კვახაძე საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველია. საინტერესოა, თვითონ ვის მიიჩნევს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე საუკეთესო მცველად.

"ასეთად ჩემი თანაგუნდელი დავით ლომაია მიმაჩნია. ის ჩემი საუკეთესო მეწყვილეა დაცვის ცენტრში და ვფიქრობ, ამ პოზიციაზე საუკეთესოა საქართველოში".

დავით თავართძილაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგა, ნარსულში ცნობილ ვეტერან ფეხბურთელსა და სანაკრებო შტაბის ^წევრ ოთარ გაბელიას სამძიმარს უცხადებს დედის

5765 30505-8550m056

გაზეთი "ლელო" მწუხარებას გამოთქვამს ოთარ გაბელიას დედის JC0206666050

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

N CAUCASUS DIGITAL NETWORK

305356 25694 405695464606 0000509562626964 050468606



0

ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;

ტელეფონის დადგმა;

კავშირი ყველგან და ყოველთვის;

ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;

ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

ე განმავლობაში

უწყვეტი მომსახურება ტექნიკური მხარდაჭერა

ა გარანტირებული ჩარისჩი - ა გადაჩდა ჩაჩლიდან გაუჰცლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა! მხოლოდ ოპტიკურ–ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!








A28233U



ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ

www.pfl.ge



პირველ ტურში მესხეთთან მიღებული ტრავმის შემდეგ აკაკი დევაძეს აღარ უთამაშია

რობორც გახსოვთ, ეროვნული ჩემ-პიონატის პირველ ტურში, "მესხეთთან" მატჩში "მგლების" გამოცდილმა მეკარემ, აკაკი დევაძემ ხელი მოიტეხა და მას შემდეგ მოედანზე აღარ გამოჩენილა. დევაძის გამოჯანმრთელებას საკმაო ხანი დასჭირდა, ამის შემდეგ მან ვარჯიში განახლა, მაგრამ კარიერის დასრულებაზე ფიქრობდა. იყო იმის ალბათობა, რომ აკაკის "მგლებში" რომელიმე მმართველი თანამდებობა დაეკავებინა.

დევაძეს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიულია, ყველაფერი ახალი წლის შემდეგ გადაწყდება, როცა ზუგდიდური გუნდი სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას შეუდგება. სამწვრთნელო შტაბს იმედი აქვს, რომ დევაძე ვარჯიშს განაახლებს და მოედანს დაუბრუნდება. "მისმა შემცვლელმა მანუჩარ ივარდავამ

პირველი წრე მაღალ დონეზე ჩაატარა, მაგრამ დევაძის დახმარება მაინც ძალიან გვჭირდება. იგი ჯერ კიდევ კარგ ფორმაშია და გუნდს ძალიან გამოადგება. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ დევაძეს "მგლების" წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღვის. პირველ ლიგაში პირველი ადგილი რომ დავიკავეთ, დიდნილად მისი დამსახურებაა. იმედია, ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვევა და მეორე წრიდან კაკო დაგვიბრუნდება", - ამბობს "მგლების" მთავარი მწვრთნელი ბესიკ შეროზია.

ლევან ჯანეზაშვილი

യുക്കാന

78729784639U FELUSOEU79U

ფუტზალშისაქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ცოტა ხნის წინათ ორი ამხანაგური მატჩი გამართა ინგლისთან. ორივე შეხვედრა ქართველების გამარჯვებით დასრულდა 4:3 და 7:2. მატჩები ერთგვარი მზადება იყო შესარჩევი ციკლისთვის, სადაც მეტოქედ ჯგუფური თამაშების მასპინძელ და მოქმედ მსოფლიო ჩემპიონ ეს-პანეთის გარდა, ხორვატია გვყავს. ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე კი მხოლოდ პირ-ველადგილოსანი გადის.

მომავალ წელს პირველად გაიმართება ევროპის ჩემპიონატის ფუტზალში 21წლამდელთა შორის. ტურნირს კი 6-9 დეკემბერს სანკტ-პეტერბურგი უმასპინძლებს. თუმცა ეს ფინალური ეტაპია, მანამდე შესარჩევი ციკლი გველის. ნიონში, უეფას შტაბბინაში გამართულმა წილისყრამ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ჯგუფის მეტოქეები გამოავლინა - სლოვენია, ბულგარეთი და ბელგია. ჯგუფურ ტურნირს 7-13 აპრილს სლოვენია უმასპინძლებს. რუსეთში თამაშის უფლებას მხოლოდ საუკეთესო გუნდი მიიღებს.

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲔᲒᲘ

3762993 98 9749U

"ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა **რაფაელ ბენი- ტესმა** კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე ცენტრალური მცველის შეძენა
სურს. ამჯერად, ბენიტესმა თავი შეიკავა სავარაუდო ახალწვეულის დასახელებისგან, თუმცა წყაროები ჯიუტად კვლავ
29 წლის ქართველ **კახა კალაძეზე** მიუთითებენ. თუმცა არის
მეორე ვარიანტიც - თუ "ლივერპული" საქართველოს ნაკრების კაპიტანს ვერ გადაიბირებს, ბენიტესი ნისლიან ალბიონზე სანტანდერის "რასინგის" 21 წლის არგენტინელი მცველის, **ეზეკიელ გარაის** წაყვანას შეეცდება.

"მოგეხსენებათ , ჩვენ გაბრიელ ჰაინცეს აყვანა გვსურდა, მაგრამ უშედეგოდ. ამას მოყვა დანიელ აგერის ტრავმა, რის გამოც იძულებული ვიყავი დაცვის ცენტრში ყოველ მატჩში უკეე ასაკში შესული სემი ჰიპია და ჯეიმი კარაგერი დამეყენებინა. ჩვენი მიზანია იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე ვიყიდოთ ცენტრალური მცველი და ამით გუნდში ბალანსი აღვადგინოთ", - აღნიშნა ბენიტესმა.

ნიკოლოზ 6035რიძე



3363 33003

97393974U &?ru 2397er7uru3ur

ᲒᲘᲒᲘᲐᲫᲔ ᲙᲠᲘᲕᲑᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘᲐ

ითამაშებს თუ არა ვასილ გიგიაძე ლუგანსკის "ზარიაში"? ბოლო დროს ამ თემას უკრაინული მედია დიდ ყურადღებას აქცევს.

ლუგანსკელთა მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ კოსევიჩმა უკრაინულ "სპორტ-ექსპრესთან" დაადასტურა ქართველი ლეგიონერისადმი ინტერესი. შეგახსენებთ, რომ გიგიაძე კრივოი როგის "კრივბასმა" ზაფხულში ახტირკის "ნეფტიანიკში" იჯარით გაუშვა. იჯარის ვადა ამოიწურა და ვასიკოს ტრანსფერი უკრაინულ ტოპ-თემებში კვლავ აქტუალურია.

გოპ-თემებში კვლავ აქტუალურია.
"გიგიაძის საკითხი დღემდე ღიად რჩება. "კრივბასთან" მოლაპარაკებები მიმდინარეობს, ეს კლუბი მის ტრანსფერს განკარგაეს. თუმცა კრივოი როგული კლუბის ხელმძღვანელობისგან საკომპენსაციო თანხის თაობაზე ჯერ გონივრული ციფრები არ დასახელებულა" - განაცხადა კოსევიჩმა

ჩვენ დავუკავშირდით ვასილ გიგიაძესაც, რომელიც გარკვეულ სიახლეებს გვიმხელს.

- ვასო, უკრაინაში ლამის 10 წელი თამაშობ და წლევანდელივით უხეირო სეზონი ჯერ არ გქონია. რა ხდება, რატომ ვეღარ გაგაქვს?

- "ნეფტიანიკი" ისედაც სუსტი გუნდია და ასეთში ბურთის გატანა ძნელია. თუმცა ეს არაა მთავარი. გუნდს სანამ შევეწყვე, დრო გავიდა.

- ბოლო ტურებში აღარც გათამა-



ვასილ გიგიაძე

შებდნენ. არადა, როგორც ვიცით, ტრავმირებული არ ყოფილხარ.

 დაშავებული ნაღდად არ ვყოფილვარ. "ნეფტიანიკის" მთავარ მწვრთნელად ვალერი გოროდოვი დანიშნეს, რომელიც "კრივბასში" მეორე მწვრთნელი იყო. მასთან და ტარანთან ცუდი ურთიერთობა მქონდა და ახტირკაშიც გაგვიჭირდა საერთო ენის გამონახვა.

- მოკლედ, გაჭირვებულს ქვა აღმართში დაგენიაო.

- ასეა და გოროდოვი არ მათამაშებდა. თუმცა, მალე "კრივბასთან" კონტრაქტი მიმთავრდება და ჩემი გაყიდვა თავადაც უნდა აწყობდეთ.

- ლუგანსკის "ზარია" აქტიურობს, მაგრამ "კრივბასის" მადა აფრთხობს.

 კოსევიჩი დიდი ხანია ცდილობს კრივოი როგელთა დათანხმებას, მაგრამ ჯერ პასუხი არ ვიცით. არის სხვა ვარიანტებიც, მაგრამ ყველა მსურველი ურთიერთობას ჯერ კლუბთან არკვევს.

- საკმაოდ საინტერესო მინიშნება გააკეთა ხარკოვის "მეტალისტის" მთავარმა მწვრთნელმა მირონ მარკევიჩმა - გიგიაძისნაირი თავდამსხმელი რომ გვყავდეს, ის უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდებოდაო არადა, 18 შეხვედრაში ერთი ბურთიც არ გააგიტანია. ეს მხოლოდ კომპლი

მენტი იყო, თუ ხარკოვშიც გინვევენ?
- უკრაინაში საკმაოდ ბევრი წინადადება მაქვს და ეს გითხარით კიდეც. თუმცა, მთავარი არა მიწვევები, არამედ
"კრივბასის" მოთხოვნების დაკმაყოფილებაა. იმედი მაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს, ამ გუნდისგან განვთავისუფლდები.

ისე, "ნეფტიანიკი" გაცილებით ცუდი გუნდი გამოდგა, ვიდრე მეგონა. აქ თამაში მიჭირს, ძნელია თავის გამოჩენა.

მერაბ მამულაშვილი

ფეხბურთის ქართველ მოყვარულებს კარგად ახსოვთ გამოჩენილი ფეხბურთელის კახი ასათიანის ტექნიკური, ელეგანტური და ლამაზი თამაში, თბილისის "დინამოსა" და ყოფილი სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში. მას თბილისის "დინამოში" ჩატარებული აქვს 250-მდე მატჩი, 60-70-იან წლებში სამჯერ გახდა საკავშირის და თურქეთის ნაკრების მატჩი, როცა ასათიანმა ორი ბრწყინვალე გოლი გაიტანა თურქების კარში. 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, მას უწოდეს "პრინცი", ვაჟკაცური გარეგნობის და მოხდენილი თამაშისთვის. აღსანიშნავია, რომ კახი ასათიანი 10 წლის განმავლობაში თავკაცობდა საქართველოს სპორტს. იმ პერიოდში დამოუკიდებული საქართველო პირველად წარდგა ოლიმპიურ სარბიელზე.

კახი ასათიანის დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა და კახი ასათიანის საერთაშორისო საფეხბურთო ფონდმა არმიელთა სპორტულ კომპლექსში ჩაატარა ტურნირი მინიფეხბურთში, რომელშიც 10 გუნდი მონაწილეობდა წრიული სისტემით, ორ ჯგუფად.

ნახევარფინალებში გავიდნენ: თბილისის მერიის, რკინიგზის დეპარტამენტის, იუსტიციის სამინისტროს და აფხაზეთის გუნდები. იუსტიციის სამინისტროს აჯობეს მერიის ფეხბურთელებმა, რკინიგზელებმა აფხაზეთის წარმომადგენლებს.

მერია-რკინიგზის დეპარტამენტის საფინალო მატჩი



გამარჯვებული გუნდი

დამთავრდა მერიის სასარგებლოდ 2:0. მესამე ადგილზე გავიდა იუსტიციის სამინისტრო.

საუკეთესო მეკარის, მცველის, ნახევარმცველის, ბომბარდირის და ფეხბურთელის პრიზები შესაბამისად გადაეცათ: ა. მაჭარაშვილს, ი. სანაიას, ი. თოლორდავას, თ. გიორგაძეს, ო. კუხალეიშვილს.

ბადრი ქბრქბშბძე, ვეგეგანე ფეცგუგთელე



ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲘ

932V93PV: **~J~RJ6J an6~J!**

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲛᲔᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ aനട്ടനട്ടാറ. പാടറന്ന_് കാദ്രാപ

რაფა გენიტესს "ლივერპულში" დარჩენა სურს. უახლოეს დღეებში ესპანელი მწვრთნელი კლუბის ბოსებს, ტომ ჰიკსსა და ჯორჯ ჯილეტს შეხვ-დება. მხარეები იანვრის გეგმებს განიხილავენ. ბენიტესს ამერიკელებთან შეხვედრა დიდი ხნის წინ სურდა. ის სატ რანსფერო ბიუჯეტის დამტკიცებას ითხოვდა, ამერიკელები კი ფულის გამოყოფას არ ჩქარობდნენ. ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას სენიორ რაფამ განაცხადა, მათ (დირექტორებს) წარ-მოდგენა არა აქვთ, რას ნიშნავს სატრანსფერო ფანჯარი ევროპული კლუბებისთვისო. დაგვეთანხმებით, უკმეხი კომენტარი იყო. ჰიკსისა და ჯილეტის პასუხმა არ დააყოვნა. მათ მწვრთნელს მოუწოდეს, უფრო მეტი ეფიქრა მოახლოებულ მატჩებზე და ნაკლები იან-ვარზე. ამერიკელებმა ბენიტესს ისიც შეახსენეს, რომ ზაფხულის ტრანსფერებისას დიდი თანხა დაიხარჯა. ამიტომ საინტერესო იქნებოდა იმის ნახვა, თუ რა პოტენციალი გააჩნდა მათი ფულით ერთხელ უკვე გაძლიერებულ გუნდს. სიტყვიერ დაპირისპირებას უკკვალოდ არ ჩაუვლია. მიმომხილველებმა

ბენიტესის დათხოვნაც კი იწინასწარ-მეტყველეს. "ლივერპულს" ჩემპიონთა ლიგაში პრობლემები ჰქონდა. მას რომ "მარსელთან" ბოლო ტურის მატჩი არ მოეგო, ფლეი ოფის მიღმა დარჩებოდა. მწვრთნელი დათხოვნის რეალური საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. გაიჟღერა მისი სავარაუდო შემცვლელის გვარმა. ინგლისურმა სააგენტოებმა "ენ-ფილდზე" **იურგენ კლინსმანის** მისვლა ინინასწარმეტყველეს. მოვლენები საუკეთესო სცენარით განვითარდა. მერსისაიდელებმა "ოლიმპიკს" დამაჯერებლად მოუგეს (4:0). იქამდე პრემიერლიგაშიც გამოასწორეს მდგომარეობა. წარმატებებმა მწვრთნელის პოზიციები საგრძნობლად გაამყარა. ამიტომ მის დათხოვნაზე დროებით აღარავინ

ბენიტესი ამბობს: "ლივერპულში ძა-ლიან ბედნიერი ვარ. მინდა, კლუბში დიდხანს ვიმუშაო. გარკვეული უთანხმოებები არსებობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, როცა შევხვდებით, საერთო ენის გამონახვა არ გაგვიჭირდება და დავრწმუნდებით, რომ სინამდვილეში ეს უთანხმოება კი არა, გაუგებრობაა.



რაფა ბენიტესი

მწვრთნელებსაც და დირექტორებსაც ერთი მიზანი გვამოძრავებს: გვინდა, "ლივერპულს" წარმატებები მოვუტანოთ." რაც შეეხება სატრანსფერო პრიორიტეტებს, ბენიტესს მიაჩნია, რომ აუცილებლად გასაძლიერებელია დაცვა: "ზაფხულში გაბრიელ ჰაინცეს შეძენა გვინდოდა, რაც სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ. შემდეგ დანიელ აგერი დაგვიშავდა. 34 წლის სემი ჰიიპიას, ფაქტობრივად, შეუცვლელად უწევს თამაში. გვჭირდება ცენტრალური მცველი და ამ პოზიციის დაბალანსება." უცნობია იმ ფეხბურთელის ვინაობა, რომელთანაც ბენიტესი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს.

06850L0. 360800650850. XVII 8760L 606195751

enen morkaaten 3%0197230JUF 30401304

ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠ ᲘᲣᲜᲐᲘᲢᲔᲓᲘ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ. ᲤᲔᲠᲒᲘᲣᲡᲝᲜᲘ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲖᲔ...

อกผลกธอวลก-ผวตกธอก മാരു പാര്യാർ പാര്യാർ ayerjrøja puga-such 3M48683000-8M83633300 L)693693691-JU&M6 3093 3368 3380-33368060 309760-962049 **9353330-60333650**

ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲘ-ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲒᲔᲠ ᲘᲣᲜ. **ンベレンБンベリードンベレリ**

ეს ტური ორი გამორჩეული მატჩით იპყრობს ყურადღებას. კვირას დიდი ოთხეული ურთიერთობას ერთმანეთში გაარკვევს - "ლივერპული" "მანჩესტე-რს", ხოლო "არსენალი" "ჩელსის" შეხვდება. ოთხივე გრანდმა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გააღწია. გაზაფხულამდე მათი ყურადღება მთლიანად ინგლისის ჩემპიონატზე იქნება გადატანი-ლი. გასულ უქმეებზე "არსენალმა" და "ლივერპულმა" პრემიერლიგაში წაუგებელი სერიები შეწყვიტეს. მიდლსბროში "არსენალის" მოულოდნელმა დამარ-ცხებამ "მანჩესტერს" სხვაობის მინიმუ-მამდე შემცირების საშუალება მისცა.

მიმოხილვას ლივერპულური მატჩით დავიწყებთ. შუა კვირაში მერსისაი-დელებმა "მარსელს" დიდი ანგარიშით სძლიეს, 4:0. გუნდმა ისე შთამბეჭდავად ითამაშა, რომ **რაფა ბენიტესსაც** კი გაუჭირდება რომელიმე ფეხბურთელის სკამზე დასმა. უნდა ვივარაუდოთ, რომ "მენიუსთან" მატჩისათვის ესპანელი მწვრთნელი დროებით უარს იტყვის როტაციულ საკადრო პოლიტიკაზე და გამარჯვებულ შემადგენლობას მინდორზე შეუცვლელად გამოიყვანს. "იუნაიტედთან" შეხვედრა ბევრ კითხვაზე გასცემს პასუხს. გუნდებს ერთმანეთისაგან ექვსი ქულა აშორებთ. "ლი-ვერპულის" წარმატების შემთხვევაში, სხვაობა სამ ქულამდე შემცირდება. მარცხის შემთხვევაში კი, ის ცხრა ქულამდე გაიზრდება, რაც, ფაქტობრივად, იმის მომასწავებელი იქნება, რომ მერსისაიდელები ამ სეზონშიც ვერ შეძლებენ ჩემპიონობისათვის ბრძოლას. "ლივერპულმა" ინგლისის პირველობა უკანასკნელად 1990 წელს მოიგო. ბენიტესი სადებიუტო ინგლისურ სეზონშივე დაეუფლა ჩემპიონთა თასს, მაგრამ პრემიერლიგაში მუდმივად წარუმა-

ტებლობას განიცდის. შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგის მატჩი ჩაატარა "მანჩესტერმაც". ის "რო-მას" ესტუმრა (1:1). "ეშმაკებს" მერვედფინალის საგზური განაღდებული ჰქონდათ. ამიტომ მწვრთნელმა შუსუსტებული შემადგენლობა გამოიყვანა. **სერ ალექს ფერგიუსონმა** საუკეთესო ფეხბურთელები "ლივერპულისათვის" მოინახა. "მენიუს" "ენფილდზე" ში Bonsaბეჭდავი სტატისტიკა აქვს: მან ბოლო ხუთი თამაშიდან ოთხი მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა. "ლივერპულს" პრემიერლიგაში ყველაზე მეტად "მანჩესტერთან" გამკლავება უჭირს. 1992 წლის შემდეგ მან ყველაზე მეტი, 16 თამაში "ეშმაკებთან" წააგო და ყველაზე მეტი, 44 გოლიც მათთან გაუშვა. სხვათა შორის, გუშინ სადისციპლინო კომიტეტმა ფერგიუსონს 2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, "ბოლტონთან" მატჩში არბიტრ **მარკ კლეტენბურგის** სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო.

დღეს "ლივერპულს" ჩაბი ალონსო დაუბრუნდება. ტერფის ტრავმის გამო ესპანელ ნახევარმცველს ორი თვე გაუცდა. სტივ ფინენის ასპარეზობა საეჭვოა. მას ბარძაყი აწუხებს. ვერ ითამაშებს ცენტრალური მცველი დანიელ აგერიც. ალონსოს მსგავსად, მასაც ტერფი აქვს დაზიანებული. "იუნაიტედს" თითქმის ყველა ფეხბურთელი ჯანმრ-თელად ჰყავს. უმნიშვნელო პრობლემე-ბი აქვს ჯონ ოშის. ოუენ ჰარგრივსი გამოვჯანმრთელდა. "ბაიერნის" ყოფილი ვარსკვლავი ერთი კვირის წინ, "დერბისთან" შეხვედრის წინ დაშავდა.



ფერგიუსონი დასჯილ

გადავინაცვლოთ ლონდონში. "არ-სენალმა" "ჩელსის" საკუთარ მოედანზე უკანასკნელად ოთხი წლის წინ მოუგო. შუა კვირაში "არისტოკრატებმა" "ვალენსიასთან" 0:0 ითამაშეს. ტრავმებით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ძირითადს დაუბრუნდნენ პეტრ ჩეხი და პაულო ფერეირა. ვერ ითამაშებს დიდიე დროგბა. მოგეხსენებათ, კოტ დივუარელმა თავდამსხმელმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა. მის ადგილს **ანდ**რეი შევჩენკო დაიკავებს. უკრაინელ ვარსკვლავს ამ როლის შესრულება ორი თვის განმავლობაში მოუწევს. ტრავმის მოშუშების შემდეგ დროგბა აფრიკის ერთა თასზე გაემგზავრება. შევას გაუჩნდა კიდევ ერთი შანსი, რათა ლონდონში პოზიციები განიმტკიცოს. "ჩელსის" ბოლოდროინდელი ნარმატებები დაცვის საუცხოო თამაშს უნდა მივაწეროთ. არისტოკრატებმა" ბოლო რვა შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს. ზემოთ ჩეხისა და ფერეირას დაბრუნება ვახსენეთ. ეს გარემოება დაცვის საიმედოობას კიდევ უფრო გაამყარებს. "არსენალის" კოზირი თავდას

კოზირი თავდასხმაა სეზონის დასაწყისში ამას ვერავინ წარმოიდგენდა. "მეთოფეებმა" საუკეთესო ბომბარდირი ტიერი ანრი გაყიდეს. მაგრამ ამის მიუხედავად, პრემიერლი-გის 16 მატჩში 33 გოლს მოუყარეს თავი. ეს ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო შედეგია. მეორე ყველაზე მრისხანე თავდასხმა "მანჩესტერ იუნაიტედსა" "ევერტონს" ჰყავთ. მათ ანგარიშზე 29-29 გოლია. "ჩელსის" თავდასხმა "არსენალისას" საგრძნობლად ჩამოუვარ-დება. "არისტოკრატებმა" მეტოქეები მხოლოდ 24-ჯერ დაამწუხრეს. "არსენალის" ერთ-ერთი ბომბარდი-

რი ნახევარმცველია - **ფრანსესკ ფაბრე**გასი. მიმდინარე სეზონში მან სულ 11 გოლი გაიტანა, აქედან 6 გოლი პრემიერლიგაში შეაგდო. "ჩელსისთან" ფაბრეგასის თამაში საეჭვოა. ესპანელმა მუხლის ტრავმისაგან განკურნება ვერ მოასწრო. "არსენალმა" ბოლო ორ თამაშში ("ნიუკასლსა" და "მიდლსბროსთან") ოთხი ქულა გაანიავა. მიმომხილველთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ეს ფრანსესკის უთამაშებლობის გამო მოხდა. გამოჯანმრთელების შემდეგ "არსენალის" ძირითადში პირველად ითამაშებს **რობინ ვან** პერსი. "მეთოფეებს" ალექსანდრ გლები და მატიო ფლამინი დააკლდებათ.

ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ

ചാക്യം വാ ഉയാ EUJ777reu M336L?

ᲔᲠᲘᲥᲡᲝᲜᲛᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ ᲛᲝᲘᲡᲣᲠᲕᲐ...



მაიკლ ოუენი

გუშინდელ "დეილი მეილში" საინტერესო ინფორმაცია გამოქვეყნდა: იანვრის ტრანსფერებისას "ნიუკასლი" მაიკლ ოუენთან გამოთხოვებას აპირებსო. ტაბლოიდის ცნობით, 28 ნლის თავდამსხმელი 11 მილიონ ევროდაა შეფასებული. ფეხბურთელით "მანჩესტერ სიტი" დაინტერესდა. მაიკლს ნიუ-კასლური კონტრაქტი 2009 წლის ზაფხულში ენურება. მიმდინარე სეზონის ბოლოს მისი ფასი უფრო ნაკლები იქნება.

რისკოდ მიაჩნიათ. ოუენს ქრონიკული ტრავმები ანუხებს. ის ნიუკასლში 2005 წლის ზაფხულში ჩაირიცხა. მადრიდის "რე-ალს" მის სანაცვლოდ 17 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. ფეხბურთელმა შავი და თეთრი ზოლებიანი მაისურით მხოლოდ 25 მატჩი ჩაატარა. მან მიმდინარე სეზონის უმეტესი ნანილიც გამოტოვა. მაიკლი მინდორზე დაბრუნებას 23 დეკემბერს აპირებს. ის დღეს "ნიუკასლი" "დერბისთან" შეხვედრას მართავს. თუმცა ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვე-ტილი. "დეილი მეილი" წერს, რომ ერიქსონი მზადაა, თავდამსხმელს დაუყოვნებლივ გაუფოროს კონტრაქტი, მაგრამ ტრანსფერის გაჩარხვამდე მას "მანჩესტერ სიტის" ბოსის, ტაქსინ შინავატრას დარწმუნება მართებს: შინავატრას დაშა ვებული ფეხბურთელის შეძენა ზედმეტად მიაჩნია. "დეილი მეილის" სტატიას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ჯორდების თავკაც **სემ ელერდაისი**. მან ცნობას ოუენის მოსალოდნელი აბარგების თაობაზე უსაფუძვლო სპეკულაცია უწოდა. ელერდაისი: *"იანვრის დადგომას შეშფოთებით ველოდები*. აფრიკის ერთა თასის გამო შემადგენლობა საგრძობლად დასუსტდება. ოთხი წამყვანი ფეხბურთელი აფრიკაში მიემგ-ზავრება. ასე დროს რომელიმე ფეხბურთელის გაყიდვაზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია."

ჯორდებს ფეხბურთელთან კონტრაქტის გაგრძელება სა-

J66055550


ຉຆຨຉຨຩຨຨຘຩຩຩ 013 3F37230UU

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲛ ³ᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ...

"ბრსენბლის" მეკარეს, **მანუელ ალ**-მ**უნიას** ევროპის ჩემპიონატზე თამაში სურს. მას იმედი აქვს, რომ ლონდონელ-თა შემადგენლობაში სტაბილურდა ასპა-გენტის სტაზი დასპა-გენტის სტაზი დაცვიანხმდები, გაგ რეზობის შემთხვევაში, ესპანეთის ნაკრებში მოხვდება. ალმუნიას ესპანელთა მაისურა არასოდეს მოურგია. ცოტა ხნის ნინ მან ინგლისის მოქალაქეობა მიიღო. მიმომხილველებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ ალმუნიას ინგლისის ნაკრებში მიინვევდნენ. ფეხბურთელი ამგვარ პერსპექ-ტივას ინტერესით შეხვდა, მაგრამ რამ-დენიმე დღის ფიქრის შემდეგ იმ დასკენამდე მივიდა, რომ ესპანეთის ეროვნულ გუნდს მისთვის სულ სხვა ღირებულება აქვს. "სპეკულაციები "არსენალის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ჩემ ინტერვიუს მოყვა, - განუცხადა ალ-მუნიამ ესპანელ ჟურნალისტებს. - იმ ინტერვიუში ნახევრად ხუმრობით ვთქვი,

ვენ, სიამოვნებით დავთანხმდები, მაგ-რამ ასეთ შემთხვევაში, ესპანეთის ნაკრებზე მომიწევს უარის თქმა. მე კი მირჩევია, ესპანელთა შემადგენლობაში ვითამაშო. ისე, ცხოვრებაში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება."

"არსენალზე" საუბარს ორი სატრანსფერო ინფორმაციის გავაგრძელებთ. ლონდონელები საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველ **ჟოან** გურკუფით დაინტერესდნენ. გურკუფი მილანის საკუთრებაა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება7 დეილი ტელეგრაფის ცნობით, მეთოფეები 21 ნლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 21 მილიონ ევროს ამზადებენ. გურკუფის შეძენა ფრანგულ კლუბებსაც სურთ. რიგ-



მანუელ ალმუნია

ში დგანან "პარი სენ ჟერმენი", "მონაკო", "ლანსი" და "სენტ ეტიენი". და კიდევ, "მეთოფეებს" ბულგარეთის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი **ნიკო**ლაი დიმიტროვიც მოუვიდათ თვალში. დიმიტროვი 20 წლისაა და სოფიის "ლევსკიში" თამაშობს. "ლევსკის" აღმასრულებელმა დირექტორმა ნასკო სირაკოვმა (1994 წლის ბულგარეთის ნაკრების წევრი) განაცხადა, რომ ახალგაზრდა თავდამსხმელს ლონდონში ორკვირიან სინჯებზე ელოდებიან.

ac



ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ. ᲞᲠᲘᲛᲔᲠᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XVI ᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

37232 6779779 37232 677979 37232 677979

ᲔᲡᲞᲐᲜᲘᲝᲚᲘ-ᲚᲔᲕᲐᲜᲒᲔ ᲕᲐᲚᲔᲜᲡᲘᲐ-ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ

baore

უქმეები ისევ მოახლოვდა და მასთან ერთად პრიმერადივიზიონური შეხვედრებით ტკბობის საშუალება დაგვიბრუნდა. ამ უიქ ენდზე ესპანეთის სტადიონებზე მე-16 ტურის მატჩები შედგება. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყ-ვით, რომ ყველაზე დიდ ინტერესს "ვა-ლენსიისა" და "ბარსელონის" დაპირისპირება ინვევს. რა თქმა უნდა, "ღამურებს" უწინდებურად ძლერი გუნდი აღარ ჰყავთ, მაგრამ სპეციალისტები დარწმუნებულები არიან, რომ "მესტალია" ნებისმიერ შემთხვევაში ტურის ერთ-ერთ საუკეთესო მატჩს უმასპინძლებს. კატალონიელები ამ შერკინებისთვის დიდი შემართებითა და სერიოზულობით ემზადებოდნენ. ფრანკ რაიკაარდს ერიკ აბიდალი და იაია ტურე დაუბრუნდნენ. წინა კვირას "კამპ ნოუზე" მათ ტრავმის გამო ვერ იასპარეზეს. ფრანგი და კოტდიუარელი რამდენიმე დღის განმავლობაში ექიმების დაკვირვების ქვეშ ვარჯიშობდნენ. საბოლოოდ დადგინდა, რომ ერიკსა და იაიას აღარაფერი ანუხებთ და ბატონმა რაიკაარდმა შეგირდების სრულად დატვირთვის უფლება მიიღო. ჰოლანდიელი სპეციალისტი ასეც მოიქცა და ორივე მათგანი დიდ ხანს ავარჯიშა. საბედნიეროდ, აბიდალსა და ტურეს პრობლემები არ შექმნიათ. **დეკუც** შესანიშნავად გრ-ძნობს თავს. მოგეხსენებათ, "ვილიარე-ალთან" მატჩში პორტუგალიელს კუნთი გაუწყდა და თვეზე მეტი დრო ლაზა-რეთში გაატარა. "ბარსას" ის გასულ უქმეებზე დაუბრუნდა, თუმცა "დეპორტივოსთან" მატჩში მხოლოდ შეცვლაზე ითამაშა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამჯერად დეკუ ისევ ძირითად შემადგენლობაში მოხვდება. იგივეს თქმა შეიძლება სამუელ ეტოოზეც. კამერუნელმა ფორვარდმა იმავე "დე-პორთან" მატჩში დეკუსგან განსხვავებით პირველივე წუთიდან შეაბიჯა მოედანზე, მაგრამ მთელ დატვირთვას ვერ გაუძლო და მეორე ტაიმში ბოიან კრკიჩს დაუთმო ადგილი. ახლა რაიკა-არდს ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ ეტოო შეუცვლელად ათამაშოს. რონალდინიოს გამოცოცხლების გათ-ალიწინებით შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ გაუჩო არათუ განაცხადში, არამედ ძირითად შემადგენლობაში მოხვდება.

ვალენსიაში კატალონიური გრანდის ჰოლანდიელმა დამრიგებელმა შემდეგი შემადგენლობა წაიყვანა: ვალდესი, ჟორკერა, ჩავი, ინიესტა, პუიოლი, რონალდინიო, ეტოო, დეკუ, მარკესი, მესი, მილიტო, ტურე, გუიონსენი, აბიდალი, ძამბროტა, სილვინიო, ბოიანი,

ჯოვანი. "ბარსელონაზე" არანაკლები შემართებით ემზადებოდა "ვალენსიაც", თუ-მცა დასამალი არ არის, რომ **რონალდ** კუმანს გაცილებით მეტი პრობლემა აქვს ვიდრე მის თანამემამულე რაიკაარდს. პირველ რიგში ის უნდა ითქვას, რომ ბარძაყის კუნთის ტრავმის გამო "ბარსას" გუნდის საუკეთესო ფორვარდი დავიდ ვილია ვერ დაუპირისპირდება. ამასწინათ მოგახსენეთ, რომ გამოსაჯანმრთელებლად ვილიას სულ მცირე სამი კვირა სჭირდება. დაგვეთანხმებით, ეს გარემოება ისედაც დასუსტებული გგუნდის მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს. შესაძლოა ბევრმა არ იცის, "ვალენსიას" საშინაო შეხვედრებში ასეთი საშინელი შედეგი არსებობის განმავლობაში არასოდეს ჰქონია. საქმე ის არის, რომ კუმანის შეგირდებმა მიმდინარე სეზონში "მესტალიაზე" უკვე ოთხი შეხვედრა დათმეს. კარგად იცით, ამ უსახური თამაშის გამო გულშემატკივრები გულისწყრომას ძალიან აგრესიულად გამოხატავენ. გასული დღეების განმავლობაში ფეხბურთელების სახლებთან ეგრეთ წოდებული ულ ტრასები ნამდვილ ობსტრუქციებს აწყობდნენ. თუ "ვალენსია" "ბარსელო-ნასთანაც" დამარცხდება, ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რას მოიმოქმედებენ ინჩასები. მასპინძლებს ოპტიმიზმს ერთი საინტერესო გარემოება უღრმავებს. "ბარსა" წელს გასვლით ირთაბრძოლებში ძალიან უსუსურად გამოიყურება. თავად განსაჯეთ, კატა-ლონიელებმა შვიდი მატჩიდან მხოლოდ ერთის მოგება შეძლეს. სხვათა შორის, ისიც ვალენსიაში. მათ "ლევანტეს" მოუგეს. ვნახოთ, გაუსწორდებიან თუ არა რაიკაარდის ბიჭები კიდევ ერთ ვალენსიურ კოლექტივს. უკვე მოგახსენეთ, რომ ვილია ვერ იასპარეზებს. მის ბედს მარკო კანეირა, რაულ ალბიოლი, ალექსის რუანო და ხოაკინი გაიზიარებენ. ყოველ მათგანს სხვადასხვა სირთულის ტრავმა ანუხებს.

ამ შეხვედრაზე საუბრის დასასრულს გეტყვით, რომ თუ "ბარსელონა" ვერ მოიგებს 1979-80 წლების სეზონის ანტირეკორდს გაიმეორებს. მაშინ კატალონიელებს რვა გასვლით შეხვედრაში მხოლოდ ერთი ჰქონდათ მათთვის ხესაყრელი შედეგით დასრულებული.

"რეალი" "ოსასუნის" დასამარცხებლად ემზადება. პრინციპული დაპირისპირების წინ **ბერნდ შუსტერს** სამედიცინო შტაბიდან უსიამოვნო ინფორმა-ცია მიაწოდეს. **არიან რობენი** კვლავ ტრავმირებულია. ჰოლანდიელმა გარემარბმა ბოლო ორი ვარჯიში გამოტოვა და სავარაუდოა, რომ კვირას "ბერნაბეუზე" ვერ იასპარეზებს. რობენს ბარძაყის კუნთის ტკივილი აწუხებს. მართა-ლია, საგანგაშო არაფერია, მაგრამ ფაქტია, მან ვარჯიში ვერ შეძლო. ბაზაზე მისულმა ჟურნალისტებმა **კრისტოფ მეტცელდერიც** ვერ შენიშნეს. რო-გორც გაირკვა გერმანელსაც ანალოგიური ტრავმის გამო მოუხდა სახლში დარჩენა. ბოლო ინფორმაციით მათი საკვირაო ორთაბრძოლაში მონაწილეობა გამორიცხულია. სამაგიეროდ, შუსტერს გაბრიელ ჰაინცე დაუბრუნდა. არგენტინელი მცველი აბსოლუტურად ჯანმრთელია და თუ მწვრთნელი საჭი-როდ ჩათვლის პირველივე წუთიდან იასპარეზებს. სავარაუდოა, რომ ბატო-ნი ბერნდი გუტის ძირითად შემადგენ-

ლობაძი დააბრუხებს.						
	on	9	8	6	9	;
1.	15	11	2	2	34-14	3
2. ᲒᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ	15	9	4	2	29-12	3
3. ᲐᲢᲚᲔᲢᲘᲙᲝ	15	9	3	3	30-17	3
4. 30ᲚᲘᲐᲠᲔᲐᲚᲘ	15	9	1	5	26-22	2
5. ᲔᲡ ᲒᲐᲜᲘᲝᲚᲘ	15	7	6	2	23-18	2
6. რბს0680	15	7	5	3	15-13	2
7. 3ალენსია	15	8	1	6	20-23	2
8. ᲛᲐᲚᲘᲝᲠ <i>Ა</i> Ა	15	5	5	5	25-24	2
9. სეველეა	15	6	1	8	28-22	1
10. ᲡᲐᲠᲐᲒᲝᲡᲐ	15	5	4	6	24-25	1
11. ბლგერია	15	5	4	6	13-15	1
12. ხეტაფე	15	5	3	7	16-18	1
13. ᲠᲔᲙᲠᲔᲐᲢᲘ Ვ Ო	15	5	3	7	12-19	1
14. MUSU 765	15	4	5	6	17-18	1
15. ᲒᲘᲚᲒᲐᲝ	15	4	5	6	15-17	1
16. 3১ᲚᲘ১ᲓᲝᲚ.	15	4	4	7	21-27	1
17. მურსია	15	3	6	6	11-18	1
18. ᲒᲔᲢᲘᲡᲘ	15	3	5	7	14-22	1
19. യാട്രാപ്രക്ര	15	3	4	8	14-23	1
20. ლევანტე	15	2	1	12	11-31	



ინტერს იბრაჰიმოვიჩის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა

4736 37876-36028-378 47896-4799

P376

&MANGM-AMB3 LJBJSEMANJ-BNMAJG&NGJ J&JSSJGSJ-AJSSGABM LNJGSJ-GJJSMGS JJSMSN-AJJSMGJ JJSMSN-AJSGMJ JJSMSN-MGBJAN JJSMSN-MGBJAN BNSJGN-SMGMBJANGM BNSJGN-SMGMBJANGMBBJANGMBBJANGMBBJANGMBBJANGMBBJANGMBBJANGMBBJANGMBBJANGMBBJANGMBBJANGMBBJANGMBBJANGMBBJANGMBBJANGMBBJANGMBBJANGMBBJANGMBBJANGMBB

სერია A-ს არდადეგებისწინა ტური საინტერესო დაპირისპირებით იხსნება. "კატანია" "უდინეზეს" მასპინძლობს უდინელთა მწვრთნელი **პასკუალე მა**რინო თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ. მარინო ის კაცია, ვინც "კატანია" ჯერ ელიტაში აღაზევა, მერე კი იქვე დაამკვიდრა. მაგრამ დღეს სენტიმენტების დრო არ არის. "უდინეზეს" ბოლო 9 მატჩში ერთადერთი მარცხი აქვს და ყველანაირად ეცდება, წარმატებული სვლა გააგრძელოს. ფრიულელებს რეალური შანსი აქვთ, სანუკვარ ოთხეუდ ში მოხვდნენ. მარინოს არ ეყოლება წამყვანი მცველი ანდრეა დოსენა, რომელიც დისკვალიფიცირებულია. ამავე მიზეზით, სიცილიელები ფორვარდ ჯონათან სპინეზის მოისაკლისებენ.

შაბათსვე, უფრო მეტ დრამატიზმს გვიპირდება "ლაციოსა" და "იუვენტუ-სის" პაექრობა. რომაელებს ახლა თითოეული ქულა ძალიან ძვირად უღირთ. დელიო როსის გუნდი გასავარდნი ზონის სიახლოვესაა. "იუვენტუსი" კი სტაბილურად მიიწევს ჩემპიონთა ლიგისკენ. ბოლო მატჩში ორივე გუნდმა მინიმალური სხვაობით გაიმარჯვა. "ლაციალემ" 1:0 მოუგო "კატანიას", "ქალბატონმა" კი შინ ანალოგიური ანგარიშით "ატალანტას" სძლია. დღევანდელ მატ-ჩში ფავორიტის დასახელება ძნელია. ექსპერტებს ყველაზე მოსალოდნელ შედეგად ფრე მიაჩნიათ, რაც ნამდვილად ახლოსაა ჭკუასთან. "ლაციოს" სერიოზული დანაკლისი აქვს ვალონ ბეჰრამის, ლუჩანო ძაურისა და კრისტიან ლედესმას სახით. ტურინელთა მი ნუსი კი კვლავ **მაურო კამორანეზია**. ის იანვარში დაუბრუნდება მოედანს.

კვირას, ყურადღების ცენტრში ლიდერთა მატჩები იქნება. ვიდრე მოგვიანებით "კალიარი" "ინტერს" უმასპინძლებდეს, "რომას" გასვლითი თამაში ელის "ტორინოსთან". სკუდეტოს მაძიებლებს იოლი გასეირნება არ ექნებათ, გამომდინარე მეტოქეთა სატურნირო მდგომარელებს ის, რომ "რომას" არ ეყოლება დისკალიფიცირებული როდრიგო ტადეი, ხოლო მარკო კასეტის ტრავმა ანუხებს. თუმცა ამათ გარეშეც ლუჩანო სპალეტის ოპტიმალური შემადგენლობის გამოყვანა შეუძლია, ისევე, როგორც მის კოლეგა ვალტერ ნოველინოს.

ნარმოუდგენელია, რომ "კალიარიმ" "ინტერის" შეჩერება შეძლოს. საამისოდ, ნედო სონეტის გუნდი საკუთარ თავს უნდა გადაახტეს. სარდინიელთა ერთი უპირატესობა ისაა, რომ საბრძოლო შემადგენლობა ჰყავთ. "ნერაძუ-რის" კი არ ეყოლება თავდასხმის ლიდერი ზლატან იბრაჰიმოვიჩი, რომელიც ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას მოიხდის, დეიან სტანკოვიჩი, ლუიშ ფიგუ, 073F 2667 772074U 772074U

ᲒᲐᲓᲐᲐᲮᲒᲔᲡ.

085005. bom A. mg

XVI & JANG 505

ადრიანო, ლუის ხიმენესი და პატრიკ ვიეირა კი ტრავმებს იშუშებენ. თუმცა ჩვენ ხომ არაერთხელ დავრწმუნდით, რომ "ინტერი" ნებისმიერი შემადგენ-

ლობითაც ძალიან ძლიერია.

პრინციპული თამაშია გენუაში, სადაც "სამპდორია" ბოლოხანს ფორმიდან
ამოვარდნილ "ფიორენტინას" მიიღებს.
ის, რომ ფლორენციელებმა ტემპი დააგდეს, სულაც არ ნიშნავს, რომ "სამპს" 3
ქულა გარანტირებული აქვს. ამ უკანასკნელს ვინჩენცო მონტელა, ჯენარო
დელეკკიო და პაოლო სამარკო დააკლდებიან. "ფიორენტინას" დაცვაში უჟირს:
ტომაშ უიფალუში და ალესანდრო პოტენცა, ტრავმირებულები არიან.

ტენცა ტრავმირებულები არიან.
"ატალანტა"-"პალერმო" თანაბარი ძალის მქონე მეტოქეთა ჯახია. ეს გუნდები უეფას თასზე მოსახვედრად იბრძვიან. მათი პოტენციალიდან გამომდინარე, საკმაოდ ჯანსალი ამბიციაა. პრობლემები ორივე გუნდს აქვს, განსაკუთრებით "ატალანტას", რომელსაც აპიტანი და შეტევის ლიდერი კრისტიანო დონი (დისკვალიფიკაცია) დააკლდება. ფრანჩესკო გვიდოლინს ნახევარდაცვაში ბრაზილიელი ფაბიო სიმპლისიუ არ ეყოლება, დაცვას კი მარკო პიზანოს ხელი მოაკლდება.

"ემპოლი" და "ჯენოა" ერთმანეთს არათანაბარ პირობებში ხვდებიან. ვგულისხმობთ იმას, რომ გენუელებს 8 ტურია არ მოუგიათ. ტოსკანელთა აქტივში კი ბოლოს ორი შთამბეჭდავი გამარჯვებაა - თასზე "იუვენტუსთან" (2:1) და ჩემპიონატში "კალიარისთან" (4:1). ფაქტია, რომ "ემპოლის" უკვე დაეტყო ალბერტო მალეზანის ხელი. ორივე გუნდს აქვს დანაკლისი, მაგრამ არა კატასტროფული. მასპინძლებს გამოცდილი მცველი დანიელე ადანი არ ეყოლებათ, სტუმრებს კი ფორვარდი მარკო დი ვაიო, რომელიც ბოლობანს ძირითადში ისედაც იშვიათად ხვდება.

გასულ ტურში, "სიენამ" პირველი გასვლითი მოგება გაიფორმა, როცა "მარასი-ზე" "ჯენოას" 3:1 აჯობა. ახლა, **მარიო ბ**ე**რეტა** გამარჯვებას შინაურ კედლებშიც გეგმავს, მით უფრო, რომ "სიენის" ცხელ სკამზე დაბრუნების შემდეგ, "მონტეპას კი-არენაზე" 3 ქულა ჯერ არ აულია. "ნაპოლისთან" შეხვედრაში მას ნახევარდაცვის ღერძი, გუნდის კაპიტანი **სიმონ**ე ვერგასოლა (დიკვალიფიკაცია) დააკლ-დება. დანაკლისია წინა ხაზზეც, სადაც ტრავმირებული მასიმო მაკარონე არ იქნება, დაცვას ვერ დაეხმარება ბრაზილიელი მარცხენა მცველი **ალბერტო დუ კა**რ მო. არანაკლებ სერიოზულია "ნაპოლის სანუხარი, ფორეარდ ეზეკილ ლავეცის დისკვალიფიკაციის გამო. ამ მიზეზით, ნეაპოლელთა შარშანდელ ლიდერს ემა**ნუელე კალაიოს** წელს პირველად ექნება ძირითადში თამაშის ბედნიერება.


"პარმა" უდავო ფავორიტი იქნება "რეჯინასთან" საშინაო მატჩში, რომლის დროსაც სტუმრებს ყველა რგოლში სერიოზული დანაკლისი ექნებათ. მეტადრე, ეს დაეტყობა ნახევარდაცვას, სადაც ედგარ ბარეტო და მაურიციო ლანძარო ვერ ითამაშებენ. პარმელებს არ ეყოლებათ ცენტრალური მცველი პაოლო კასტელინი.

STATES AND A	OI	а	8	6	ð	
1. റ6ക്കാന	15	11	4	0	33-8	3
2. ര്നീദ്	15	9	5	1	31-18	3
3. ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘ	15	8	5	2	30-13	2
4. ७९೧६०%०	15	8	4	3	20-17	2
5. ᲤᲘᲝᲠᲔᲜᲢᲘᲜ Ა	15	6	6	3	19-13	2
6. ᲐᲢᲐᲚᲐᲜᲢᲐ	14	5	6	3	21-17	2
7. 6 53M型0	15	6	3	6	23-20	2
8. 35COK8C	15	5	6	4	20-24	2
9. ᲡᲐᲛ Პ ᲓᲝᲠᲘᲐ	15	6	2	7	20-20	2
10.	13	4	6	3	20-10	1
11. ᲙᲐᲢᲐᲜᲘᲐ	15	4	6	5	14-16	1
12. ლ აციო	15	4	5	6	15-20	
13. ക്നഹറെന	15	2	9	4	14-19	1
14. პარმა	15	3	6	6	16-23	
15. 3 206MS	15	3	6	6	14-22	1
16. 5030660	15	3	5	7	18-26	1
17. სიენა	15	2	7	6	16-22	1
18. 083നട്ടറ	15	3	4	8	11-21	
19. რეჯინა	14	1	7	6	9-21	1
20. ᲙᲐᲚᲘᲐᲠᲘ	15	2	4	9	12-26	

あつり四つ

462900 679920 3629909 6069909

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲘᲡ ᲕᲐᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲣᲑᲠᲣᲜᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲐᲜᲒᲐᲠᲝᲓ ᲛᲘᲕᲘᲦᲔ



ზინედინ ზიდანი

ბუშინ ზინედინ ზიდანი სპორტული ინვენტარის მწარმოებელი კომპანიის "ადიდასის" სარეკლამო რგოლში გადაიღეს. გადაღების დასრულების შემდეგ სამეფო კლუბის ლეგენდარულმა ნახევარმცველმა საგანგებო პრესკონფე-რენცია გამართა და განაცხადა, რომ "რეალში" დაბრუნებაზე ძალიან სერიოზულად ფიქრობს. ზიზუს ყველაზე მეტად ბავშვებთან მუშაობის შესაძლებლობა ხიბლავს: "ყველა იცის, რომ სამე-

ფო კლუბი უზომოდ მიყვარს. აქ ხელახლა დავიბადე და დიდ წარმატებებს მი-კაღწიე. კარიერის დასრულების შემდეგ მას დავშორდი, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობ, რომ ეს დროებითი მოვლენაა. ხელმძღვანელობამ დირექტორატში მუშაობა რამდენჯერმე შემომთავაზა, მაგრამ მათ ჩემი თანხმობა ვერ მიიღეს. უზომოდ მადლიერი ვარ. შეუძლებელია, ასეთი წინადადება არ დააფასო, მაგრამ მას ვერაფრით მივიღებდი. უბ-

რალოდ ჩინოსნის როლში ჩემი თავი ვერ წარმომიდგენია. მე უფრო ცოცხალი და მინდორთან ახლოს მყოფი სამუშაო მჭირდება. ვფიქრობ, მალე "რეალში" დავბრუნდები და რომელიმე ასაკობრივი ჯგუფის ყმაწვილთა გუნდს ჩავიბარებ. კანტერის ბავშვებს უდიდესი სიამოვნებით გავწვრთნი. მათ ჩემი ცხოვრების შესახებ მოვუყვები და ყვეაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მსოფლიოს ნიჭიერი მოთამაშეები აღვუზარდო. ჩემი აზრით, კანტერაში მუშაობით მის უდიდებულესობა ფეხბურთს იმ ვალს გადავუხდი, რომელიც მან უანგაროდ მომცა. რა თქმა უნდა, რაიმეს დაბრუნებას არავინ მთხოვს, მაგრამ არ შემიძლია, ჩემი გამოცდილება ჩემთვის შევინახო და მომავალ თაობას არ გავუზიარო. ოდესღაც მეც პაგარა მარსელელი ბიჭუნა ვიყავი. ჩემზე ნიჭიერი ბავშვეპის გარემოცვაში ქუჩის ფეხბურთით ვირთობდი თავს და დიდ სტადიონებზე თამაშზე ვოცნებობდი. მიუღნეველი არაფერია და ვალდებული ვარ, ამაში ახალგაზრდები დავარნმუნო."

რამონ კალდერონის მოსაზრება ჯერ-ჯერობით უცნობია, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ პრეზიდენტმა ზიზუს ეს სურვილი არ აუსრულოს.



ჯოვანი კობოლი ჯილი

"იუვენტუსის" პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი პრესას არც თუ ხშირად ანებივრებს ინტერვიუებითა თუ ლაკონური კომენტარებით. ამჯერად, ის "კორიერე დელო სპორტის" რედაქციაში მიიწვიეს. "ბებერი ქალ ბატონის" ბოსმა საუბარი პრეზიდენტობის 18-თვიანი პერიოდის შეფასეით დაიწყო...

- რას იტყოდით იმ 18 თვეზე, რომელიც "იუვენტუსის" სათავეში გაატა-

- ვფიქრობ, ამოცანებს გავუმკლავდით. ახლა, როცა უკან ვიხედები, მახ-ძენდება, როგორი რთული იყო სერია B-სთან შეგუება, როგორი რთული იყო დაბრუნებისთვის ბრძოლა... მაგრამ ჩვენი შევინარჩუნეთ გუნდი, მისი ვარსკვლავური ბირთვი, რომელმაც მძიმე მომენტში გუნდი გასაჭირში არ მიატოვა. სწორედ მათ მაგალითზე უნდა გაიბარდოს "იუვენტუსის" ახალი თაობა.

"ბიანკონერის" ტიფოზები მეტად მომთხოვნი არიან. მთელი განვლილი პერიოდის განმავლობაში, ბევრი მხარს გიჭერდათ, ბევრი გაკრიტიკებდათ, იყვნენ ისეთებიც, ვინც ძველი დროის ნოსტალგიით ცხოვრობდა... როგორ იცვლებოდა ეს განწყობილება?

- როცა ჟან-კლოდ ბლანთან (გენერალური მენეჯერი - რედ) ერთად მართვის სადავეები ჩავიბარე, მაშინვე მივხვდი, თუ რაოდენ მძლავრი სტრუქტურა აღმოჩნდა ჩვენი განკარგულების ქვეშ. ბევრ ჩვენს თანამშრომელს ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ეთამაშა "იუვენტუსს" სერია B-ში. ჩვენ ბევრი სირთულე გადავლახეთ და არა მარტო სპორტულ, არამდე წმინდა ადამიანურ ასპექტშიც. 29 ივნისს კლუბის პრეზიდენტი გავხდი, 1 ივლისს კი აღმოვჩნდი გულშემატკივართა გრანდიოზული მანიფესტაციის ცენტრში. მე უნდა პასუხი გამეცა იმაზე, რაც კლუბის გარშემო ხდებოდა. ჩვენ ვითხოვდით, რომ დაცული ყოფილიყო უდანაშაულობის პრეზუმფცია, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის დროებითმა მმართველმა გვიდო როსიმ განაჩენი ჯერ კიდევ მაშინ გამოიტანა, როცა სპორტულ მართლმსაჯულებას საქმის განხილვა ახალი დაწყებული ჰქონდა... ჩვენ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, სხვა გზა არ იყო... მერე ბევრი გვირეკავდა ოფისში და გვამხნევებდა... იცით, ასეთ დროს ადამიანებს უკეთ იცნობ... ორი სკუდეტო ჩამოგვართვეს, თუმცა "იუვეს" ყოველმა ფანმა, მათ შორის ჩვენც, ხელმძღვანელობამ და ფეხბურთელებმა, ვიცით, რომ კლუბის ანგარიშზე 29 ტიტულია და ამას ვერავინ წაგვართმევს

ახლა როგორი ურთიერთობა გაქვთ გულშემატკივრებთან?

მას მერე, რაც სერია A-ში დავბრუნდით, ჩვენსა და ტიფოზებს შორის სრული ჰარმონია და კონსოლიდაციაა. ახალგაზრდა ქომაგები კლუბის დღევანდელ პოლიტიკას გაგებით ეკიდებიან, რასაც ვერ ვიტყვით საშუალო თაობაზე. უფროსი თაობის ტიფოზებს შორის კი აშკარად რადიკალიზმი სჭარბობს. ისინი ითხოვდნენ, რომ სამოქალაქო სასამართლოში გვეჩივლა... ჩემი აზრით, "იუვენტუსმა" სერია B-ში გამოსვლით თავისი 110-წლოვანი ისტორიის ერთი დიდი ციკლი დაასრულა.

ალბათ, ეს გზაც უნდა გაგვევლო. - "ინტერი" და "რომა" უკვე წინ გაიჭრნენ. რა ამოცანებს ისახავს "იუვენტუსი" ამ სეზონში?

- ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაა. მაგრამ აქ არ არის ლაპარაკი მაინცდამაინც მეოთხე ადგილზე, მე მგონი, ჩვენ სამეულშიც შეგვიძლია მოხვედრა. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი, და არამარტო სპორტული, არამედ ეკონომიკური კუთხით. გასაგები მიზეზების გამო, ჩვენი დღევანდელი ფინანსური მდგომარეობა... ასე ვთქვათ, არასტაბილურია. ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა სიტუაციას საგრძნობლად შეცვლის და უკვე აღარაფერი დაემუქრება იმ პროექტების განხორციე-

റൗദാടകൗപ്ര. **ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲯᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲝᲑᲝᲚᲘ ᲯᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜ**

3636MOL 37.87.28PJGCP

ᲡᲣᲞᲔᲠᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐ ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲓᲘᲡ. ᲚᲔᲛᲞᲐᲠᲓᲘ? ᲠᲐᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲫᲐᲜᲔᲢᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ..

ლებას, რაც უკვე დაწყებული გვაქვს, ზოგიც ამ ფინანსური არასტაბილურობის გამო ფერხდება. სხვათა შორის, არავინ და არაფერი გვიშლის ხელს იმაში, რომ სკუდეტოზეც ვიოცნებოთ. ძალიან მინდა, რომ ჩვენმა კონკურენტებმა რაც შეიძლება დიდხანს ითამაშონ ევროტურნირებზე. ეს აუცილებლად ჰპოვებს ასახვას სერია A-ზე, ამით კი ჩვენ ვისარგებლებთ... ვნახოთ, დაველოდოთ გაზაფხულს.

- მომავალი სეზონისთვის რას ისურვებდით: სკუდეტოს თუ ჩემპი-ონთა ლიგის მოგეპას?

- თუ გულშემატკივრის პოზიციიდან ვიოცნებებ, რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგა მირჩევნია. პრინციპში, ასეთია პრეზიდენტის ხედვაც, რადგან წეღან უკვე ვისაუბრე ლიგის ფინანსურ მომენტებზე... იცით, ახლა უცბად წარმო-ვიდგინე, რომ ვიგებთ ჩემპიონთა ლიგას დელ პიეროს გოლით... მაგრამ ეს მომავალში, ახლა კი ალექსი იტალიის თასის მოგებაში უნდა დაგვეხმაროს.

- როგორ შეაფასებდით კლაუდიო რანიერის მუშაობას?

- კმაყოფილები ვართ. კარგია, რომ დიდიე დეშამის წასვლის შემდეგ, სწორედ ასეთ მწვრთნელს მივაგენით. ინგ-ლისში მუშაობისას მას "მოაზროვნე" შეარქვეს, რადგან ის ახდენდა გუნდის თამაშის მოდელირებას მეტოქის სათამაშო მაჩვენებლების მიხედვით. სხვათა შორის, ეს ძალიან საინტერესო ხედვაა. მაგალითად, "რომასთან" სამი ფორვარდით თამაში პირადად ჩემთვის ძალიან დიდი სიურპრიზი იყი

- დეშამთან რა მოგონებები გაკავ-

- მე მასთან აბსოლუტურად გახსნი-ლი ვიყავი, ყველანაირ აზრს ვუზიარებ-დი, მაგრამ რაღაც მომენტში ის საკუთარ თავში ჩაიკეტა. არ დავმალავ, რომ კლუბის ზოგიერთ ჩინოსანთან მას უთანხმოება ჰქონდა, თუმც ისიც იცოდა, რომ პირადად ჩემგან და დირექტორთა საბჭოსგან სრული ნდობით სარგებლობდა. ამ დროს კი მან დაიწყო შეთქმულების ძებნა იქ, სადაც ის არ იყო და არც შეიძლებოდა, ყოფილიყო. სხვათა შორის, მან წასვლის წინ ალიარა კიდეც, რომ რაღაც-რაღაცებში ტყუოდა. ისიც კი თქვა, ნანილობრივ ეს ჩემი ხასიათის ბრალიცააო... საბოლოოდ, ის თავისი სურვილით წავიდა.

- შესაძლებელია "იუვესა" და მარჩელო ლიპის ახალი კავშირი?

მე მგონი, ყველამ იცით, რომ დეშამის წასვლის შემდეგ მარჩელო პირველი იყო, ვისაც დავუკავშირდით. მაგრამ ეტყობა, დრო ზუსტად ვერ შევარჩიეთ. ლიპი უდიდესი მწვრთნელია, მაგრამ აშკარაა, რომ ჩვენი გზები და აზრები გაიყო. დღეს ჩვენი გეგმები მხოლოდ რანიერის უკავშირდება.

- რას იტყვით კაპელოზე? შეხვდებოდით მას?

დავუბრუნდეთ სერია A-ს. ამ სეზონში მსაჯები რამდენჯერმე თქვენს საწინააღმდეგოდ შეცდნენ..

- მსაჯობის საკითხი სერიოზული წინსვლაა. ეს აშკარად ჩანს. მაგრამ ისეთ მშვიდ ადამიანსაც კი, როგორიც მე ვარ, არ შემეძლო გავჩუმებულიყავი იმაზე, რაც ნეაპოლში მოხდა. მატჩის შემდეგ "ნაპოლის" პრეზიდენტმა დე ლაურენტისმა ხელი გამომიწოდა და ბოდიშიც მომიხადა. ძალიან არ მინდა, რომ მსაჯების შეცდომების გამო პრე-ზიდენტები ერთმანეთს ვებოდიშებო-დეთ. დე ლაურენტისს არც სჭირდებოდა რაიმეზე თავის მართლება, ჩვენ არბიტრის მისამართით გვქონდა პრეტენზიები. თუმც არ ვამბობ, რომ მან ეს შეგნებულად გააკეთა. იცით, ახლა როგორი სიტუაციაა? იმ ვითარებაში, როცა საჭიროა, რომ არბიტრებმა მყისიერი და პრინციპული გადაწყვეტილებები მიიღონ, ქვეცნობიერად ჩვენს საწინააღმდეგოდ სტვენენ... ჩვენ უნდა გავიგოთ, რაშია პრობლემა.

- როგორ შეაფასებდით დელ პიეროს გარშემო შექმნილ სიტუაციას? უმკლავდება სირთულეებს?

.უმკლავდება, როგორც ეს კაპიტანს შეშვენის. მან იცის, რას ნიშნავს, იყო "იუვენტუსის" ფეხბურთელი, და არა მარტო მოედანზე, არამედ ნებისმიერ სიტუაციაში. ის დიდი მონდომებით ვარჯიშობს. მოკლედ, განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ.

- მოდით, გულახდილათ ვთქვათ: სკუ-დეტო "ინტერს" ან "რომას" დარჩება. ვის მხარეზე იქნება თქვენი სიმპათია?

პირდაპირ არ გიპასუხებთ... მაგრამ მახსენდება, როგორ ნამოვხტი ფეხზე, იტალიის თასის ბოლო ფინალში ტოტიმ "ინტერს" რომ გაუტანა...

- გული არ გწყდებათ, როცა იბრა-

პიმოვიჩს "ინტერის ემაისურით ჩექ [] დავთ?

ყველაფერი გავავეთე იმისთვის, ა რომ ზლატანი დარჩენილიყო. დიდხანს ისაუბრეს მისმა აგენტმა და ჩვენმა სპორტულმა დირექტორმა სეკომ, ცხადია, თავად ფეხბურთელის მონაწილეობითაც. მერე დიდხანს ვამუშავებდით სხვადასხვა ვარიანტს, თუმცა ზლატანმა მყარად გადაწყვიტა, რომ უნდა წასულიყო... რა თქმა უნდა, არის რაღაც გულისტკივილიც, მაგრამ... მაგრამ ეს თემა ჩვენთვის ამოწურულია

- არ გიცდიათ, რომ იბრაჰიმოვიჩი რომელიმე უცხოურ კლუბში გაგეყიდათ, რომ თქვენი პირდაპირი კონკურენტის ხელში არ აღმოჩენილიყო?

- ასეთ დროს, წინადადებებს განვიხილავთ იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო მომგებიანია. შესაბამისად, "ინტერის" ვარიანტზეც ამიტომ შევჩერდით.

- უკვე იცით, რას იზამს ნედვედი მომავალ სეზონში?

- არ ვიცი, რადგან ამაზე არ გვისაუბრია, თუმც აუცილებლად ვისაუბრებთ. დღევანდელი ნედვედი მე ძალიან მომწონს, საოცრად მონდომებულია. ვფიქრობ, მომავალ სეზონშიც ჩვენთან იქნება, მეტიც, თითქმის დარწმუნებული ვარ ამაში..

- მოდით, ტრანსფერებზე ვისაუბროთ. შესაძლებელია, რომ "იუვენტუსის" სამიზნედ რონალდინიო იქცეს?

- სუპერვარსკვლავების ყიდვა ჩვენს გეგმებში არ შედის. საჭიროა იმ ტიპის მოთამაშეთა აყვანა, რომლებიც გუნდს მოერგებიან. სხვათა შორის, ამას ყველა ტოპვარსკვლავი ვერ ახერხებს. - შევჩენკო?

- ანუ, იმის თქმა გსურთ, რომ უვენტუსი" საერთოდ უარს ამბობს ხმაურიან ტრანსფერებზე? დაუჯერებელია...

- ღმერთო ჩემო, მსგავსი არაფერი მითქვამს.

- მაშინ, არის შანსი, რომ ლემპარდი იყიდოთ?

- რანიერი მას კარგად იცნობს და.ძალიანაც აქებს, თუმც იგივე რანიერი ძირითადში ადგილს ანდობს კრისტიანო ძანეტის და როგორც ხედავთ, ის ამართლებს კიდეც.

- გასულ ზაფხულს ამბობდნე, რომ "იუვენტუსი" ჰოლანდიელი ჰუნტელაარით იყო დაინტერესებული..

- ჩვენ დღემდე ვაკვირდებით მას. მასაც და კიდევ სხვა მოთამაშეებსაც. რამდენადაა მოსალოდნელი, რომ

ერთ მშვენიერ დღეს ანიელების ოჯახი "იუვენტუსის" აქციათა საკონტროლო პაკეტზე უარს იტყვის?

- რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მსგავსი სცენარი დაუჯერებლად მეჩვენება. ამასწინათ შევხვდი ჯონ ელკანს, რომელიც სისხლხორცეულადაა დაინტერესებული კლუბის საქმეებით. მინდა გითხრათ, რომ "იუვენტუსი" ანიელების ოჯახისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტია. ამ პროექტმა უნდა იმუშაოს, რაზეც, პირველ რიგში, მე და გენერალური მენეჯერი ვართ პასუხისმგებელნი.

3**3**063ლᲘ ᲒᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ ᲐᲢᲚᲔᲢᲘᲙᲝ ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲐᲜ ᲙᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲐ

ბასულ უქმეებზე დორტმუნდის ბორუსიის" სპორტული დირექტორი მიხა**ელ ცორკი** კიდევ ერთხელ დაესწ-რო "კარლსრუეს" შეხვედრას (ბოხუმში 2:2). კიდევ ერთხელო, იმიტომ ვამ-ბობთ, რომ ცორკმა ორი კვირის წინაც ნახა KSC-ს თამაში ("ჰერტასთან" 2:1).

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ან კარლსრუემდე დაახ Qualot ლოებით 700 კილომეტრია, ცხადია, რომ BVB-ს ბოსი ბადენური კლუბის თამაშების სანახავად რაღაცის გამო დაიარება. საიდუმლო აღარაფერია: "ბორუსიას" KSC-ს სამი ფეხბურთელი აინტერესებს: ცენტრალური მცველი მაიკ ფრანცი (26 წლის), მარჯვენა მცველი ანდრეას გიორლიტცი (25 ნლის, "ბაიერნიდან" არის განათხოვრე-^{ბული}) და უნგრელი ფლეიმეიქერი **გა**-მა**შ ჰაინალი** (26 წლის). ეს სნორედ ის

პლუბი გაძლიერებას გეგმავს. საიდუმლოს არც ის ფაქტი ნარმოდგენს, რომ ჰაინალის შემთხვევაში "ბორუსიას" ბევრი კონკურენტი ჰყავს,

პოზიციებია, სადაც ვესტფალიური

რადგან ეს უკანასკნელი არა მარტო "კარლსრუეს" ლიდერი, არამედ მთლიანად ბუნდესლიგის პირველი წრის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ჰაინალის ანგარიშზე 5 გოლი და 6 საგოლე პასია, "კიკერის" საშუალო შეფასება კი 2.93 გახლავთ). ის, რომ უნგრელი გამთამაშებლის გადაბირება თითქა ნახევარ ბუნდესლიგას სურს, იმის ბრალიცაა, რომ პაინალის კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ მას "კარლსრუეს" დატოვება სულ რაღაც 1.25 მილიონი ევროს სანაცლოდ შეუძლია. სხვათა შორის, ჰაინალის მრჩეველი "შალკეს" ყოფილი ფეხბურთელი **მარკ ვილმოტსია**.

ცორკი არ მალავს, რომ ამ ეტაპზე დორტმუნდისთვის" პრიორიტეტული სხვა პოზიციებია და კერძოდ, პირველ რიგში, მარჯვენა მცველის ადგილი, სადაც ფილიპ დეგენის ტრავმის გამო ახლა იაკუბ ბლაშჩიკოვსკი თამაშობს, რომელიც წესით მარჯვენა ნახევარმცველია და ასევე, ცენტრალური მცველის პოზიცია, სადაც BVB-ს სასწრაფოდ სჭირდება გაძლიერება.

ცორკი სიამოვნებით გადაიბირებდა გიორლიტცს, მაგრამ ეს უკანასკნელი "ბაიერნის" საკუთრებაა და შანსი იმისა, რომ რეკორდმაისტერმა ანდი დათმოს, ძალიან მცირეა. სწორედ ამიტომ, "ბორუსიამ" კონცენტრაცია მთლიანად ბრაზილიელ **ოელიტონ არაუჟო დოს სან-**ტოსზე, ან უბრალოდ ეტოზე გადაიტანა, რომელიც 26 წლისაა და ზაგრების "დი-ნამოს" ღირსებას იცავს. "დორტმუნდის" სკაუტები ამ უკანასკნელს უკვე დიდი ხანია, რაც გულმოდგინედ აკვირდებიან და ძალიან მოსწონთ: ეტო სწრაფი და ტექნიკური მარჯვენა მცველია, რომელსაც ჩინებული ჩანოდება აქვს, ადრე მარჯვენა თავდამსხმელად თამაშობდა, თუმცა მოგვიანებით მწვრთნელებმა მასში ფლანგის მცველი დაინახეს. ერთი სიტყვით, ეტო ახალი **კაფუა**. მის კონტრაქტშიც ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ბრაზილიელს ზაგრებული კლუ-ბის დატოვება ზაფხულში 1.5 მილიონის სანაცვლოდ შეუძლია.



ტამაშ ჰაინალი დორტმუნდის გარდა ნახევარ ბუნდესლიგას სურს

დაბოლოს: "ბილდის" ცნობით, "დორტმუნდისა" და გერმანიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველის, სებასტიან კელის გადაბირება მადრიდის "ატლეტიკოს" მოუნდა. ჩვენი გერმანელი კოლეგე-ბის ცნობით, 27 წლის კელის მრჩეველმა უკვე წამოიწყო მოლაპარაკებები მადრი-დელებთან. "ატლეტიკოს" გარდა, სებასტიანის გადაბირებით კიდევ ერთი ესპანური კლუბი, ლა კორუნიის "დეპორტივოც" ყოფილა დაინტერესებული. როგორც იცით, კელს BVB-სთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და თუ მანამდე ახალი ხელშეკრულება არ გააფორმა, ზაფხულში უფასო იქნება. "ბორუსიის" შეფებს მასთან ახალი კონტრაქტის გაფორმება უნდათ და პირველი მოლაპარაკებები იანვარშია დაგეგმილი.

გოტფრიდ ლენცი



ერთწლიანი პაუზის შემდეგ ინგლისის ნაკრებს კვლავ უცხოელი მწვრთნელი ჰყავს. გაიხსენეთ, შვიდი წლის წინ, როცა ამ პოსტზე სვენ გორან ერიქსონი ინიშნებოდა, კონსერვატორმა ალბიონელებმა ერთი ვაიუშველებელი ატეხეს -როგორ? ჩვენ, ბრიტანელებს, რა გვჭირს საიმისო... მოკლედ, რაღაც ასეთი. აბა, ახლა ნახეთ - მთელი ინგლისი გაშლილი ხელებით ეგებება ფაბიო კაპელოს. ანუ, ეს ის შემთხვევაა, როცა სამწვრთნელო გენიის წინაშე ეროვნულობის არგუმენტი უძლურია... მარკ ჰიუზი, სემ ელერდაისი, მარტინ ო'ნილი... ეს იმ ბრიტანელ კანდიდატთა ნუსხაა, რომელთაც სტივ მაკლარენის ნატანჯ სკამზე დასაჯდომად მოიაზრებდნენ. მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ ისურვა ყულფში თავის გაყოფა. უცხოელთაგან კი იყვნენ ჟოზე მოურინიო, რომელმაც ასევე უარი თქვა ბოლო მომენტში, ლუიშ ფელიპე სკოლარი, იურგენ კლინსმანი, მარჩელო ლიპი და ბოლოს ხელში ფაბიო კაპელო შერჩათ... მაგრამ უკაცრავად, შერჩათ კი არა, კაპელო ნამდვილი განძი, ნადავლია, რომელსაც ჭკვიანი ხალხი

ტივ მაკლარენი ინგლისის ეროვნული გუნდის სათავეში ერთნლიანი მრღვაწეობით ლამის "პერსონა ნონ-გრატად" იქცა. მან გააკეთა ის, რაც ბევრს, დიდი მონდომების ხარჯზეც კი, შეიძლება ვერ მოეხერხებინა. ალბიონზე მას "მაკკლოუნიც" შეარქვეს. ეს ერთი წელი ძალიან მძიმე დარტყმა იქნება ამ კაცის კარიერაზე და ვეჭვობთ, ახლო მომავალში სადმე იშოვნოს სამსახური: ჰა-ჰა მესამე დივიზიონში დაუძახონ. მაგრამ, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, ზოგი ჭირი მარგებელია...

ხელიდან არ გაუშვებდა...

ინგლისელები ამაყი ხალხია. ფეხბურთის სამშობლოს შვილები, მიუხედავად ქრონიკული წარუმატებლობისა, დღესაც თვლიან, რომ მათი ბურთაობა საუკეთესოა. თუმც ეს ბოლო ჩაფლავება ბევრ რამეზე დააფიქრებთ. ეტყობა, უკვე დაფიქრდნენ და მოიფიქრეს კიდეც. ასეა ნეტავ? ხორვატიასთან ფრედ რომ ეთამაშა, ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდებოდა და ეს არ იქნებოდა უჩვეო მოვლენა. მაგრამ ნათელი იყო, რომ მაკლარენის ხელში ავსტრია/შვეიცარიის მინდვრებზე ნათელი პერსპექტივა არ ელოდათ. მაკლარენს მერე მაინც მოუწევდა გადადგომა, ამით კი დაიკარგებოდა ნახევარი წელი, ფაბიო კაპელო კი, ამასობაში, შეიძლება, სხვაგან მიეწვიათ. სწორედ ამიტომ, ეს კრახი ინგლისელებს ყურების გამოსაბერტყად გამოადგებათ. ასეა - დიდი საქმისთვის რაღაც მსხვერპლიც უნდა გაიღო. ცხოვრების კანონია ასეთი...

მაკლარენმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ინგლისური სამწვრთნელო აზრი დიდი ხანია კრიზისშია. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ პრემიერლიგის ყველა წამყვან კლუბს არაინგლისელი წვრთნის. ნაკრები კი, მიუხედავად შესანიშნავი თაობისა, სერიოზულ ძალას არ წარმოადგენს. მაგრამ მისტერ სტივის მოღვაწეობა, განსაკუთრებით მისი ბოლო აკორდი, ერთგვარად სასარგებლოც იყო: ინგლისელებმა კონკრეტული და გადაუდებელი ზომების აუცილებლობა დაინახეს. კაპელო ის მწვრთნელია, რომელსაც ნამდვილად ძალუის, ნიჭიერი ინგლისელი ბიჭებისგან მაღალი დონის გუნდი შეკრას, და რაც მთავარია, შედეგიც მოიტანოს...

დონ ფაბიოს აქამდე მხოლოდ კლუბებში უმუშავია. მათთვის, ვინც ფიქრობს, რომ ნაკრები და კლუბი სხვადასხვა სპეციფიკაა (და რა თქმა უნდა ასეცაა), აქვს არგუმენტი იმისთვის, რომ ამ დანიშვნაში ნეგატიური დეტალი დაინახოს. მაგრამ ეს არგუმენტი კაპელოს ნარსულთან სრულიად უსუსურია. "მილანი", "რეალი", "რომა" და "იუვენტუსი" მის ხელში ვარსკვლავებს ეთამაშებოდნენ. მადრიდში ის ორ სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა, თან მხოლოდ თი-



თო სეზონით, მაგრამ ორივეჯერ ჩემპიონი გახდა. მივიდა "იუვეში" და ზედიზედ ორჯერ მოაგებინა სკუდეტო. "რომას" 19-წლიანი პაუზის შემდეგ მოუტანა კალჩოს მთავარი ტიტული, "მილანზე" კი აღარაფერს ვიტყვით…

მის ბოლო მადრიდულ თავგადასავალზე მაინც ცალკე უნდა შევჩერდეთ. "რეალი" მან მეტად რთულ პერიოდში ჩაიბარა: გაუთავებელი სამწვრთნელო რყევები, "ვარსკვლავური" დაპირისპირებები, დავიწყებული ტიტულები... "სანტიაგო ბერნაბეუზე" კი შედეგს მომენტალურად ითხოვენ. კაპელოს მხოლოდ ნახევარი წელი დასჭირდა ძლევამოსილი გუნდის შესაქმნელად. იანვარ-თებერვალში ვინმეს რომ ეთქვა, "რეალი" პირველი იქნებაო, უთუოდ გიჟად მონათლავდნენ. მაგრამ აი, შედეგიც - ჩემპიონობა "ბარ-

სასთან" დრამატულ ჭიდილში.
....მაგრამ მაესტროსეული პრაგმატული ფეხბურთის ფილოსოფია სამეფო კლუბის პრეზიდენტ **რამონ კალ- დერონს** გულზე არ ეხატებოდა. მას
ლამაზი თამაშის ხილეაც ენადა. თუმც
სილამაზე ყველას თავისებურად ესმის.
კაპელოსთვის ეს ცნება, პირველ რიგში,
გამარჯვებასთან ასოცირდება. მაგრამ
განშორების მომენტი მაინც დადგა. კიდევ კარგი, კალდერონს არ დაავინყდა,
ეთქვა – კრიზისი ფაბიომ დაგვაძლევინა
და ახალ გუნდსაც მანვე ჩაუყარა საფუძველიო. პატარა საქმეა?

ერთი სიტყვით, კაპელომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ყველაზე
რთულ, ლამის გამოუვალ სიტუაციაშიც კი, შედეგის გარანტად შეიძლება
იქცეს. ინგლისი მისთვის ახალი გამოწვევაა. ალბიონზე გამარჯვებები ისე
მოსწყურდათ, საფეხბურთო ესთეტიკაზე პრეტენზია ნამდვილად არ ექნებათ. ისე, კაცმა რომ თქვას, თავად გამარჯვებაში ესთეტიკა არ არის?

უკვე ოფიციალურად: გუშინ ფაბიო კაპელომ ინგლისის საფეხაურთო ასოციაციასთან 4-წლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. 2010 წლამდე ის 4 მილიონ გირვანქას მიიღებს, მუნდიალზე წარმატების შემთხვევაში კი სქლა შეკრულების ბოლომდე, წლიურად 6 მილიონს მიუთვლიან. კაპელოს წარდ-გენა ორშაბათისთვისაა დანიშნული, მუშაობას კი 7 იანვრიდან შეუდგება.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ

33335LIP 73935LIP 73335LIP 33335LIP

ამ მომენტისთვის, ინგლისის ნაკრები, როგორც ასეთი, ფაქტობრივად არ
არსებობს. კაპელო თითქმის ნულიდან
იწყებს. შესარჩევი ციკლის სტარტამდე
ერთ წელინადზე ნაკლები დარჩა. კაპელოს ამოცანაა, უმოკლეს ვადაში ჩამოაყალიბოს თანამოაზრეთა გუნდი, მოიპოვოს სამხრეთაფრიკული მუნდიალის
საგზური, რის შემდეგაც ინგლისელებისგან, როგორც ყოველთვის, გამარჯკებას დაელოდებიან. ალბიონზე სჯერათ, რომ ეს მოლოდინი ამჯერად მაინც გამართლდება.

ᲛᲐᲘᲜᲪ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲙᲐᲞᲔᲚᲝ?

გთავაზობთ იმ ათი კრიტერიუმის ჩამონათვალს, რაც ბრიტანელმა ჟურნალისტებმა კაპელოს დანიშვნის მთავარ წინაპირობად მიიჩნიეს...

1. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ეს მისი მთავარი სავიზიტო ბარათია. სადაც კი დონ ფაბიოს უმუშავია, ყველგან წარმატება სდევდა თან. "მილანში", "რეალში", "რომასა" და "იუვენტუსში" გატარებული 16 სეზონის განმავლობაში მან 9-ჯერ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული და ერთხელაც ჩემპიონთალიგა. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ მის გუნდებს სათასო ბატალიებში ნაკლებად უმართლებდათ. გარდა "მილანთან" ერთად მოგებული ჩემპიონთა ლიგისა (1994), იმავე წელს ევროპისა და იტალიის სუპერთასის მფლობელიც გახდა. ეს უკანასკნელი ჯილდო "როსონერიმ" 1992 და 1993 წლებშიც მოიგო, "რომამ" კი 2001 წელს.

2. ᲓᲘᲓ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲥᲪᲔᲕᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲡ

1995/96 წლების სეზონის ბოლოს, ჩინეთში გამართული კომერციული ტურნირის დასკვნით მატჩში, კაპელომ 3 ფორვარდი დააყენა. მაგრამ რაკი "მილანი" 1:0-ს იგებდა, ანგარიშის შენარჩუნების მიზნით ერთი თავდამსხმელი ნახევარმცველით შეცვალა. ეს თავდამსხმელი პაოლო დი კა-ნიო გახლდათ. როცა მან კაპელოს ჰკითხა, რატომ ზრუნავდა ასე თავგამოდებით ამხანაგური მატჩის შედეგზე, ასეთი პასუხი მიიღო: "იცი, შენი

ფიზიონომია პენისს მაგონებს". ამის მერე, დი კანიოს "მილანში" აღარ უთამაშია...

3. ᲛᲐᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲘᲒᲝᲡ ᲣᲔᲛᲑᲚᲘᲖᲔ

რა თქმა უნდა, კაპელო-მოთამაშის რეგალიები გაცილებით მოკრძალებულია (სამი სკუდეტო "იუვენტუსთან" და ერთიც "მილანთან" ერთად). თუმცა კარგი ნახევარმცველი კი იყო. სხვათა შორის, თავის დიდ პირად მიღწევად თვლის გამარჯვებას (1:0) ინგლისი-იტალიის მატჩში, რომელიც "უემბლი-ზე" 1973 წლის 14 ნომებერს გაიმართა. "ეს ჩემი კარიერის საუკეთესო მომენტი იყო" - იტყვის უბა ბატილ გოლზე, რომელმაც იტალიის ნაკრებს ინგლისთან პირველი გამარჯვება მოუტანა. სულ "სკუადრა აძურის" მაისურით ფაბიომ 32 მატჩში ჩაატარა.

4. ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲛᲐ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ

კაპელომ საფეხბურთო კარიერა 1980 წელს დაასრულა, თუმც მაშინვე არ უძებნია ვაკანტური სამწვრთნელო სკამი. 1986/87 წლებში მას "მილანის" ახალგაზრდული გუნდი ჩააბარეს, ექვს მატჩში კი მთავარი გუნდის გაძლილაც დაესკისრა. 1991 წელს სილვიო ბერლუსკონიმ მას არიგო საკის მემკიდრეობა ჩააბარა. ბერლუსკონის, თურმე, მეტად მოსწონებია კაპელოს მუშაობა კომპანია "ფინინვესტის" სპორტული დირექტორის პოსტზე.

5. ᲣᲧᲕᲐᲠᲡ ᲤᲔᲠᲬᲔᲠᲐ...

"ჩემს სახლში ვერ ნახავთ სურათებს, რომლებზეც ტიტულებით ვარ გამოსახული. ამგვარ სურათებს უცხო თვალისთვის შორს ვინახავ" - ყვება კაპელო. ადვილია ამის თქმა, როცა გაქვს ფერწერული ტილოების კოლექცია და ეს ყველაფერი 15 მილიონ ევროდაა შეფასებული.

6. ᲛᲘᲡᲘ ᲤᲔᲮᲞᲣᲠᲗᲘ ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲛᲝᲡᲐᲬᲧᲔᲜᲘᲐ

ცოტა ხნის წინ, არიგო საკიმ კაპელოზე თქვა - მისთვის მთავარი გამარჯვებაა და არა სილამაზეო. ამით, საკიმ "რქალის" იმ ქომაგთა გული მოიგო, ვინც ფაბიოს პრაგმატული ფეხბურთის გამო ლანძღავდა. მაგრამ ბევრს ავიწყღება, რომ სწორედ კაპელოს დაჟინებული მოთხოვნით მიიწვიეს "რომაში" გაპრიელ ბატისტუტა, რის შემდეგაც მაესტრომ თავისი საყვარელი სქემა (4-4-2) მაშიწვე 3-4-1-2-ად გარდაქმნა. ასეშეიქმნა ტოტი-მონტელა-ბატისტუტას დიდი ტრიო. დიახ, კაპელოსთვის, ისევე, როგორც ყოზე მოურინიოსთვის, მთავარი შედეგია, მაგრამ როცა საჭიროა, არც სანახაობაზე ამბობს

7.35%633°53336 5%3°7°053355

კაპელოს გუნდებში მხოლოდ ერთი ეგოისტი შეიძლება იყოს - თავად კაპელო. კაცი, რომელსაც ფრანჩესკო ტოტისთან, ალესანდრო დელ პიეროსთან, ედგარ დავიდსთან და ანტონიო კასანოსთან უომია, ნამდვილად არ ინერვიულებს გარი ნევილის მხრიდან პიპოთეტური ბუნტის გამო. ერთხელ, როცა რონალდო შხაპიდან გამოვიდა, თანაგუნდელების თანდას-წრებით კაპელომ მას ჰკითხა - არ გრცხვენია, ასეთი მსუქანი რომ ხარო? მეორე დღესვე რონალდო "მილანს" მიჰყიდეს…

8. ᲐᲠ ᲛᲝᲒᲘᲜᲓᲔᲒᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲣᲡᲢᲕᲘᲜᲝᲗ...

კაპელოს ხასიათებზე ლეგენდები დადის. "ხალხი თელის, რომ ფეხბურთის გამო ადვილად ვლიზიანდები. და
მართლებიც არიან. კაცმა რომ თქვას,
რატომ უნდა ავიშალო ნერვები იმათი
გულისთვის, რომლებიც პირნავარდნილი ბრიყვები არიან "? ამას ამბობს კაცი,
რომელსაც გულშემატკივრებისთვის
არაერთხელ უჩვენებია უხამსი ჟესტი.
მაგალითად, ამა წლის იანვარში, "სარაგოსასთან" მატჩის (1:0 მადრიდელთა
სასარგებლოდ) დროს...

9. ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲒᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲒᲐ

ერთ დღეს, მან დევიდ ბექპემი გუნდიდან მოკვეთა, მაგრამ მერე მისი საჭიროება დაინახა და შემადგენლობაში დააბრუნა. ბექზი ბრწყინვალედ ათამაშდა
და უდიდესი წელილი შეიტანა "რეალის"
ჩემპიონობაში. "არასოდეს ვუყურებ იმ
მატჩებს, რომლებშიც მონაწილეობა მიმილია როგორც მწვრთნელს, ან როგორც ფეხბურთელს. მე მხოლოდ მომავალი მაინტერესებს" - ესეც მაესტროს
კიდევ ერთი ქადაგება.

10. ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ...

ეს კონტრაქტი გაცილებით ძვირადღირებულია, ვიდრე მწვრთნელ სტივ ბრუსის. Zerorh+-ის აკურატული სათვალეების რეკლამირებას კაპელოსთვის არცთუ უმნიშვნელო შემოსავალი მოაქვს. აი, რას წერს მისი სპონსორის ვებგვერდი: "ეს სათვალე მის სტილს იდეალურად ერგება, ყურადღების ფოკუსირებაში ეხმარება, თან სპორტულ აზარტსაც მატებს". ვგონებთ, ზუსტად მოარტყეს...




1973 წელი. 14 ივნისი. იტალია-ინგლისი. ფაბიო კაპელოს გააქვს მეორე გოლი სტუმართა კარში



ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲒᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲒᲐ. XVII ᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

133 ማርאሮራርምር መን 33ሐሮ១ሐበ?

306 8242022 3090280906 80930060?



ლუკა ტონი ბაიერნს ალბათ ვერ დაეხმარება – იტალიელი თავის ფიზიოთერაპევტ ჯანი ბიანკისთან ერთად ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს

る**ごされら**J門ももづしれーンンらにいるごかれ **を**でつし

るい、ようことのである。

3ンペーというのからなった。

3ンペーというのからなった。

3ンペーというのからなった。

3ンペーというのからなった。

\$33553-3765380 \$30633480-306843880

377575037430-37767503

J3657633-33893680

ს მზონის დასაწყისში ყველას ეგონა, რომ "ბაიერნი" შემოდგომის ჩემპიონობას რამდენიმე ტურით ადრე გაინაღდებდა, მაგრამ ნახეთ: პირველი წრის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე, რეკორდმაისტერს არაფერიც არ აქვს განაღდებული. სეზონის დასაწყისში ისიც ეგონათ, რომ "ბაიერნი" საერთოდ გერმანიის ჩემპიონატს გაინაღდებს რამდენიმე ტურით ადრე, მაგრამ ვნახოთ, შესაძლოა, სულაც არ იყოს ასე...

მე-17 გურს 2 ცენგრალური მაგჩი აქვს: "ვერდერი"-"ლევერკუზენი" და "ჰერტა"-"ბაიერნი". შემოდგომის (გნებავთ ზამთრის) ჩემპიონის ვინაობა სწორედ ამ ორმა თამაშმა უნდა გაარკვიოს. "ვერდერმა" "ოლიმპიაკოსთან" განადგურებით (0:3) ყველა გააოცა და რომ თომას შააფის გუნდი არც ისე კარგ ხასიათზე იქნება, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით "ლევერკუზენზე", რომელიც ჩინებულ ფორმაშია და ბოლო დროს ქვას ქვაზე აღარ ტოვებს, მუდმივად სამ-სამი გოლი გააქვს. თავად განსაჯეთ, **მიხაელ სკიბეს** გუნდმა ბოლოს ზედიზედ 4 თამაში მოიგო და ამიტომაცაა, "ბაიერი" მე-4 პოზიციაზე რომ დამკვიდრდა და სამეულსაც რომ ეთამაშება. ბრემენელებს **პერ მერტე-** გამოუჯანმრთელდათ, "ლე-ვერკუზენს" კი ლაზარეთიდან **სერგეი** ბარბარესი დაუბრუნდა. დისკვალიფიკაცია მოიხადა და თამაშს შეძლებს შტეფან კისლინგიც.

უ "ვერდერი" მოიგებს, მაშინ "ბაიერნს" ბერლინში წაგების უფლება არ ექნება, თორემ მიუნხენელები შემოდგომის ჩემპიონის "ტიტულს" დაკარგავენ. თუმცა საკითხავია, შეუძლია კი ამ "ჰერტას" მიუნხენური გრანდის დამარცხება? ბერლინული კლუბი საშინელ ფორმაშია და რაც დრო გადის, უფრო და უფრო მტკიცდება ის მოსაზრება, რომ "ჰერტა" გერმანიაში საშუალო დონის კლუბიც ძლივს არის. ესეც არ იყოს, ბოლო 9 სტუმრობიდან, "ბაიერნმა" ბერლინში 4-ჯერ იმარჯვა, 4-ჯერ ფრეს დასჯერდა და მხოლოდ ერთხელ და-მარცხდა. "დედაქალაქური" კლუბი ახლა მე-12 ადგილზეა და ქულები ძალიან სჭირდება. ამიტომ, არც ის უნდა დაგეა-ვიწყდეს, რომ "ჰერტას" და "ბაიერნის" გენერალური მენეჯერები, ული და დიტერ ჰიონესები ძმები არიან. "რეკორდმაისტერს" როგორც იცით, ოლივერ კანი არ ეყოლება, რომელიც ჰიტც-ფელდმა დასაჯა. ვერ ითამაშებენ იანსენი, ალთინთოფი, ლუსიო, სანიოლი და სავარაუდოდ ტონიც, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში **ლუკას პო**დოლსკი შეცვლის.

დღესვე კიდევ ერთი უაღრესად საინტერესო მატჩია: მე-6 ადგილზე ჩამოქვეითებული "კარლსრუე" მესამეადგილოსან "ჰამბურგს" მასპინძლობს. რაკი ბრედლი კარნელი ტრავმირებულია და რაკი ნინა ტურში ალექსანდრე იაშვილმა ის იდეალურად შეცვალა (გუშინდელ ნომერში ვწერდით), თითქმის გადაწყვეტილია, რომ ბადენელთა მთავარი მწვრთნელი ედე ბეკერი ქართველ თავდამსხმელს დღესაც სასტარტოში გაამწესებს. "თუ ყველაფერი კარგად იქნება, "კარლსრუეს" შეუძლია HSV-ს დამარცხება!" – ეს ფორმაში შესული "იაშკას" სიტყვები გახლავთ.

ლევან კობიაშვილის "შალკე", სალევან კობიაშვილის "შალკე", სადაც შესანიშნავი განწყობაა, "ნიურნბერგს" მასპინძლობს, რომელმაც წინა ტურში მოპოვებული გამარჯვებით გასავარდნ ზონას თავი დააღწია. გელზენკირხენელებმა შუა კვირაში "რუსენბორგი" 3:1 დაამარცხეს და არსებობის მანძილზე პირველად გავიდნენ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში, რის გამოც მას მერე "შალკეში" არაჩვეუ-ლებრივი განწყობაა. მთავარმა მწვრთნელმა მირკო სლომკამ ახლა იმდენი უნდა მოახერხოს, რომ ფეხბურთელები მეცხრე ციდან მინაზე დააბრუნოს და "ნიურნბერგთან" მატჩისთვის საბრძოლველად განაწყოს, თორემ ჰანს მაიერის გუნდი რომ კერკეტი კაკალია, ეს არაერთხელ დამტკიცებულა. ,რუსენბორგთან" კობიაშვილი მოედანზე დაბრუნდა და ქართველი დღესაც განაცხადში იქნება. თუმცა, მისი ძირითად შემადგენლობაში გამწესება ჯერ მაინც ნაადრევია. "ნიურნბერგი", რომელმაც გასულ ხუთშაბათს ფრანგი მცველის, ჟაკ აბარდონადოს ყიდვა გაიფორმა და ასევე ჩეხ თავდამსხმელ **იან** კოლერსაც მოურიგდა, გელზენკირ-

ხენში ფრითაც დაკმაყოფილდება. "ნიურნბერგისა" არ იყოს, რთული ამოცანის წინაშე დგას ბილეფელდის არმინიაც", სადაც წინა მწვრთნელი ერნს მიდენდორპი შეინიახლა გუნდს მოყვარულთა მწვრთნელი **დეტლეფ დამაიერი** წვრთნის, რომელიც 4-2-3-1 ტაქტიკას ანიჭებს უპირატესობას. "არმინიის" გაწვრთნის საუკეთესო შანსი კი, როგორც გუშინ გაცნობეთ, ფოლკერ ფინკეს აქვს. ბილეფელდელები დღეს "შტუტგარტს" მასპინძლობენ, გუნდს, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში გერმანული ფეხბურთი შეარცხვინა. ამიერიდან შვაბთა საზრუნავი ისევ მხოლოდ ბუნდესლიგა იქნება, სადაც მაქსიმალურად მაღალი პოზიციის დაკავებას ეცდებიან. მოქმედი ჩემპიონი პირველი წრის ბოლო ტურის წინ მისდა სამარცხვინოდ მე-8 ად-

ფელიქს მაგათის "ვოლფსბურგმა" ილო 5 თამაშიდან 4 წააგო და 1 ფრედ დაასრულა, რაც ძალიან ცუდი შედეგია. შესაბამისად, "მგლები" მე-13 ადგილამდე ჩამოქვეიდნენ. "ვოლფსბურგი" დღეს დორტმუნდის "ბორუსიას" მასპინძლობს – გუნდს, რომელსაც პროგრესი აქვს. "ვოლფებმა" რომ წააგონ, გასა-ვარდნ ზონასთან ან ზონაში დაასრულებენ პირველ წრეს, რაც მაგათისთვის დიდი დარტყმა იქნება, თუმცა მას პოსტიდან გათავისუფლების საფრთხე, რა თქმა უნდა, არ დაემუქრება. "ბორუსია" კი, გამარჯვების შემთხვევაში, უეფას თასის ზონას მიუახლოვდება, რითაც ძალიან ცუდად დაწყებული სეზონის პირველ ნახევარს, არცთუ ურიგოდ დაასრუ-ლებს. აქვე გეტყვით, რომ მაგათს იან-ვარში გუნდის შემადგენლობის შემცირება აქვს გადაწყვეტილი მან უკვე მოკ-ვეთა 5 ფებურთელი. ესენი არიან: ალექსი, კამანი პილი, კრისტოფერ ლამპრეხტი, ჩედრიკ მაკიადი და პეტერ ვან დერ ჰეიდენი – ამ მოთამაშეებს ვარჯიშშიც კი აღარ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, რადგან მაგათს ისინი არაფერში აღარ სჭირდება. სამაგიეროდ, "დესპოტ ფელიქსს" ახალბედა **სერგეი** კარიმოვთან სურს ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმება. ეს ბიჭი 20 წლისაა და "ვოლფსბურგის" აღზრდილი გახლავთ. კარიმოვი მაგათმა მეორე გუნდიდან პირველში გადაიყვანა და უნდა, რომ 2010 წლამდე გაუფორმოს კონტრაქტი.

პირველი წრე ხვალ, ორი მატჩით დასრულდება: "ჰანზა" როსტოკში "ბოხუმს" უმასპინძლებს, "დუისბურგი" კი, საკუთარ "MSV-არენაზე" "აინტრახტს" მიიღებს.

Marie Park	O	9	9	6	9	J
1. ᲒᲐᲘᲔᲠᲜᲘ	16	10	5	1	31-8	35
2. 3069060	16	10	3	3	37-22	33
3. ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ	16	9	4	3	23-12	31
4. Ლ030ᲠᲫᲣᲖ060	16	9	3	4	30-11	30
5. 356M30K0	17	8	3	6	27-28	27
 მარლსრუე 	16	8	3	5	18-20	27
7. ᲨᲐᲚᲙᲔ	16	6	8	2	24-16	26
8. පිම්ටීම්පිරින්ම්ට	16	8	1	7	24-23	25
9. ᲒᲝᲠᲣᲡᲘᲐ	16	6	3	7	26-26	21
10. ბ0ნტრახტ0	16	4	8	4	18-23	20
11. ᲒᲝᲮᲣᲛᲘ	16	5	4	7	25-25	19
12. 30% ക	16	6	1	9	19-24	19
13. 3നᲚᲤᲡᲑᲣᲠᲒᲘ	16	4	5	7	26-30	17
14. 60 76630680	16	4	3	9	20-26	15
15. ᲙᲝᲢᲑᲣᲡᲘ	17	3	6	8	17-27	15
16. _{ბრმ} ინია	16	4	3	9	17-38	15
17. 356%5	16	4	2	10	14-26	14
18. ᲓᲣᲘᲡᲑᲣᲠᲒᲘ	16	4	1	11	14-25	13



3500660

3098322267 243936

ᲒᲘᲚᲓᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲢᲛᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲛᲐᲘᲡᲢᲔᲠᲨᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ...

თუ გამოცემა "ბილდს" ვენდობით, უკვე გარკვეული და გადაწყვეტილია ის, რომ მომავალი სეზონიდან "ბაიერნს" ახალი მწვრთნელი ეყოლება. ხსენებუ-ლი გამოცემა გუშინ წერდა, რომ არაუგვიანეს 2008 წლის ზაფხულისა, რეკორდმაისტერს ოტმარ ჰიტცფელდი აღარ უთავკაცებს. ის, რომ ოტმარი შვეიცარიის საფეხბურთო კავშირთან ანარმოებს მოლაპარაკებებს, დიდი ხნის ცნობილი ამბავია. ახალი ის არის, რომ ვიცეპრეზიდენტმა კარლ-ჰანც რუმენიგემ და მენეჯერმა ული ჰიონესმა უკვე ჰიტცფელდის შემცვლელის ძებნა დაიწყეს. "ბილდის" ინფორმაციით, ჰიონესი უკვე დაუკავშირდა ბუნდესლიგის მწვრთნელს და ჰკითხა, რამე რომ იყოს, ხომ იქნები მზად, რომ "ბაიერნის" დამრიგებელი გახდეო. იმ მწვრთნელის ვინაობა არ კონკრეტდება

როგორც იცით, ოტმარს კონტრაქ-ტი ზაფხულში უმთავრდება. და ფაქტია ისიც, რომ ბოლო დროს "ბაიერნმა" და ოტმარმა ერთმანეთისადმი ინტერესი დაკარგეს. ზუსტად ისე, როგორც 2004 წელს, როცა რუმენიგემ და ჰიონესმა "გენერალი" განირეს და ბავარიულ გიგანტში ფელიქს მაგათი მიიყვანეს. ამა წლის დასაწყისში კი პირიქით მოხდა, "დესპოტი ფელიქსი" ისევ გაუშვეს და გუნდში კვლავ ჰიტცფელდი დააბრუნეს, რომელმაც იმ სეზონში ვეღარაფერი გამოასწორა და FCB ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა, სამაგიეროდ მიმდინარე სეზონი შესანიშნავად დაიწყო და დიდი ხნის მანძილზე ქომაგებისთვის "გოტმარ ჰიტცფელდი" იყო (Gott – ღმერთი). მაგრამ აი, პირველი წრის მიწურულს, რეკორდმაისტერს ძალიან ცუდად წაუვიდა საქმეები და ჯერ ერ-თი, შემოდგომის ჩემპიონობა კითხვის ნიშნის ქვეშაა და ესეც არ იყოს, გუნდში

ბოლო ერთი თვის მანძილზე უკვე არაერთი სკანდალი მოხდა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ "ბოლტონთან" 2:2ის შემდეგ ჰიტცფელდსა და რუმენიგეს შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა. არც ისაა გამორიცხული, რომ "ბაიერნი" უეფას თასიდან გავარდეს – საკმარისია, ხუთშაბათს სალონიკის "არისთან" ჩაისვაროს, რომ ჯგუფში ჩარჩება.

პიონესი და რუმენიგე მომავალი სეზონისთვის ისეთ მწერთნელს ეძებენ, რომელიც გერმანულად ისაუბრებს. თუმცა
ეს იმას არ ნიშნავს, რომ "ბაიერნის" ახალი
დამრიგებელი აუცილებლად გერმანელი
უნდა იყოს. სიაში ჰოლანდიელები, მარკო
ვან პასტენი და ფრანკ რიიკაარდიც არიან. პირველი მათგანი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ჰოლანდიის ხაკრებიდან მიდის, რიიკაარდს კი "ბარსელონაში" ვერ
მისდის საქმეები მაინცდამაინც კარგად.
საინტერესოა ის, რომ "ბილდის" ცნობით,
ბუნდესლიგელმა მწვრთნელმა, რომელსაც ჰიონესი დაუკავშირდა, ენაჭარტალა
ული (ჯერჯერობით) უარით გაისტუმრა...

დასასრულს, გეტყვით იმას, რაზეც გუშინ ჯერ კიდევ მცირე ვარაუდით ვწერდით, უკვე 100 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ ბრაზილიელი მცველი ბრენო იანვრიდან "ბაიერნის" ფეხბურთელი გახდება. ბუნდესლიგის მეორე წრეში ის რეკორდმაისტერის ღირსებას დაიცავს. 18 წლის ბრაზილიელი ბაარიული კლუბის ხელმძღვანელებს გარიული კლუბის სატრანსფერო თანხას მხარეები ასაიდუმლოებენ, მაგრამ ბრაზილიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ "ბაიერნმა" "სან პაულოს" 12 მილიონი ევრო გადაუხადა. ბრენო "ბაიერნში" ვარჯიშს 7 იანვრიდან შეუდგება.

გოტფრიდ ლენცი

ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ

ᲛᲔᲣᲗᲐᲜᲮᲛᲓᲐ

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲒᲠᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘᲐ...

თითქმის გადაწყვეტილია, რომ აყლაყუდა ჩეხი თავდამსხმელი იან კოლერი გერმანიაში დაბრუნდება. როგორც გაირკვა, უკვე რამდენიმე დღეა,
რაც გერმანიის თასის მფლობელ "ნიურნბერგის" ხელმძღვანელები 34 წლის
ჩეხთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ
და ყველა ღონეს ხმარობენ, რათა იანგარში 2.02 მეტრი სიმაღლის თავდამსь
მელმა FCN-ს ფორმა მოირგოს. "დიახ,
მე მაქვს კონტაქტი "ნიურნბერგთან"
და ამის დამალვას არ ვაპირებ. წინ ევროპის ჩემპიონატია და სათამაშო პრაქტიკა მჭირდება," – აცხადებს ჩეხი.

"ნიურნბერგის" მენეჯერი მარტინ ბადერი დარწმუნებულია, რომ ეს ტრანსფერი ფეხბურთელის გამო არ ჩაიშლება. "100 პროცენტით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ თუ ტრანსფერი ჩაიშალა, ეს ფეხბურთელის უარით არ იქნება გამოწვეული. ჩვენ მას თითქმის ყველაფერზე შევუთანხმდით. ახლა კი, უშუალოდ "მონაკოსთან" ვიწყებთ მოლაპარაკებებს და იმედი გვაქვს, რომ ფრანგული კლუბი იანს გამოუშვებს," – ამბობს ბადერი.

ფრანკების თავკაცი **ჰანს მაიერი** კი ძალიან გაბრაზებულია იმის გამო, რომ ეს ინფორმაცია საერთოდ გავრცელდა და რომ ყველამ გაიგო იმის შესახებ, რომ "ნიურნბერგი" კოლერის გადაბირებას ცდილობს. "ორი დღის წინათ, ეს ინფორმაცია პირველად პრაღის სპორტულმა გაზეთმა "სპორტმა" გაავრცელა და დაწერა, რომ იანი "ნიურნბერგთან" ანარმოებს მოლაპარაკებებს. ამის გამო ძალიან გავბრაზდი, რადგან ახლა 5-6 კლუბი მოისურვებს მის გადაბირებას და ჩვენც არაერთი კონკურენტი გვეყოლება. ძალიან მაინტერესებს, საიდან გაჟონა ამ ინფორმაციამ ჩეხურ პრესაში. თვითონ კოლერს ვთხოვე, რომ არაფერი ეთქვა და ისიც დაინტერესებული გახლდათ იმით, რომ ეს ამბავი არავის გაეგო." - ამბობს "რკინის ჰანსი" და იქვე ამატებს, - "როცა ტრანსფერის ამბავი წინასწარ ხდებოდა ცნობილი, 20 ასეთი შემთხვევიდან, 19-ში ტრანფერი მეშლებოდა ხოლმე და ამის გამო ამიტომაც ვდარდობ."

შეგახსენებთ, რომ კოლერი 2001დან 2006 წლამდე დორტმუნდის "ბორუსიაში" თამაშობდა და ბუნდესლიგაში 138 მატჩი აქვს ჩატარებული (59 გოლი).





JManajan SJAamangajan anamining a

naánca

30Mm30 Ub0m353375

ᲡᲐᲗᲘᲨᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝᲖᲔ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲘᲠᲐᲜᲨᲘ ᲘᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐ

გიორგი სხირტლაძე იმ პირველი თაობის წარმომადგენელია, რომელ-საც საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში ქართული საჭიდაო სკოლის პრესტიჟის უცხოეთში გატანა ერგო წილად. ლირსეულადაც გაიტანა -1959 წელს 79 კილოგრამ წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, 1957 - ვერცხლი მოიპოვა, 1956 წელს, მელბურნის ოლიმპიადაზე ბრინჯაო, ოთხი წლის შემდეგ, რომში - ვერცხლი. ამასთან, 4-ჯერ მოიგო საკავში-რო ჩემპიონატი, რაც იმ სახელმწიფოებრივ წყობაში და იმ კონკურენციის პირობებში იოლი ნამდვილად არ ყოფილა

ამდენი წარმატების მიუხედავად, მას მაინც უიღბლოს ეძახდნენ, რადგან ბედის მუხთლობა რომ არა, ბევრად მეტს მიაღწევდა. ამის მიუხედავად, განვლილი გზის უკმაყოფილო მაინც არაა, თუმცა არც იმას მალავს, რომ ცხოვრების თავიდან დაწყების შემთხვევაში ცოტას მაინც შეცვლიდა. წარსულზე საუბრისას მოხუცს რამდენჯერმე თვალებიც აუწყლიანდა, მაგრამ ემოცია ყველაზე მეტად მაინც მშობლიურ რაჭაზე საუბრისას მოეძალა. რამდენიმე დღის წინ იგი 75 წლისა გახდა, იუბილეს კი დღეს გადაუხდიან ოთარ კანდელაკთან ერთად.

ატონო გიორგი, უპირველესად, იუბილეს გილოცავთ. სა-ინტერესოა, როგორია ცხოვრება 75 წლის გადასახედიდან, რამდენად კარგად გაგონდებათ იგი?


- მოლოცვისათვის დიდი მადლობა, მაგრამ სიბერე ძნელი ყოფილა... თან, ბოლო ხანებში ბევრი ავადმყოფობა გამოვიარე და ძალიან გამიჭირდა.. ჯანმრთელობის ფასი არაფერი ყოფილა ამქვეყნად და სწორედ სიჯანსაღეს გისურვებთ ყველას - ახალგაზრდასაც და მოხუცსაც, ყველა ეროვნების ადამიანს.

- მოსაგონარი ძალზე ბევრი გექნებათ, მაგრამ ყველაზე ცხადად რა გაგონდებათ?

ალბათ, გულსატკენი მომენტი უფრო ძნელი დასავიწყებელია და მეც სწორედ ასეთი მაგონდება. კერძოდ, რამდენჯერ დამჩაგრეს კარიერაში. ამ უსამართლობას ვერაფრით ვივიწყებ. ეს რომ არა, ალბათ, სპორტში ბევრად მეტს მივაღწევდი. სავარაუდოდ, მეორედაც გავხდებოდი მსოფლიო ჩემპიონი და ორივე ოლიმპიადას მოვიგებდი. 1956 წელს, მელბურნის ოლიმპიადაზე პირველ წრეში ბულგარელ ოლიმპიურ ჩემპიონ ნიკოლა სტანჩევს მოვუგე, მაგრამ სასტუმროში რომ დავბრუნდი, მოვიდნენ თანაგუნდელები და მითხრეს, რომ მსაჯებმა გადაწყვეტილება შეცვალეს და გამარჯვება სტანჩევს მიანიჭეს. კორუფცია და მსაჯების მოს-ყიდვა მაშინაც არსებობდა და ასე დამაკარგინეს ჩემპიონობა. არადა, ბულგარელს მანამ ორჯერ მოვუგე და ავსტრალიაშიც ალალად დავამარცხე, მაგრამ საბოლოოდ მესამეზე გავედი. სამწუხაროდ, ასეთი გულდასაწყვეტი ბევ-რი მაგონდება, მაგრამ ახლა ჯანმრთელობას ვდარდობ ყველაზე მეტად, სპორტში კი რასაც მივაღნიე, ყველა ახალგაზრდას ვუსურვებ იგივეს გაკე-

- მეორე ოლიმპიადაზე რა მოხდა? რომში გადამწყვეტი შვედ ჰანს ანტონსონთან შეხვედრა აღმოჩნდა ნახევარფინალში. მანამ პირველი ორი შეხვედრა მოვიგე, მესამეში დავმარცხდი ამერიკელ ედუარდ დევიტთან, მერე კიდევ ერთი შეხვედრა მოვიგე და ნახევარფინალში ანტონსონს შევხვდი. რომ მომეგო, ჩემპიონობისთვის მომავალ გამარჯვებულს, თურქ ჰასან გენგორს ვხვდებოდი. ჩემდა სამწუხაროდ, შეხვედრა ფრედ დავამთავრე და მაშინდელი წესების გამო, საბოლოოდ მეორეზე დავრჩი.

- ალბათ, გეამაყებათ, რომ ოლიმ-



პიადასა და მსოფლიოზე ორ-ორჯერ იჭიდავეთ და ოთხივეჯერ მედალი მოიპოვეთ...

ეგრეა - ოლიმპიადაზე ვერცხლ-ბრინჯაო მოვიპოვე, მსოფლიოზე - ოქრო-ვერცხლი. მსოფლიო ჩემპიონი 1959 წელს თეირანში გავხდი. სხვათა შორის, პირველი ქართველი ვარ, ვინც ირანში მსოფლიო ჩემპიონი გახდა - ჩემს შემდეგ ეს ლევან თედიაშვილმა და ლუკა კურტანიძემ გააკეთეს. ყველა დამეთანხმება, რომ თურქეთსა და ირანში ჭიდაობა ყოველთვის განსა-კუთრებით ძნელი იყო, მაშინ კი ამ გუნდებს სათანადო კონკურენციას მხოლოდ ჩვენ ვუწევდით. ამ სამეულის შემდეგ მოდიოდნენ უნგრეთი, იაპონია და სხვები, თუმცა წამყვანი მაინც ეს ტრიო

თეირანში გამარჯეების გარდა, ისიც მეამაყება, რომ წონაში არც ერთი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი არ

დამრჩენია დაუმარცხებელი. სხვათა შორის, კიდევ ერთ მსოფლიო პირველობაზე უნდა გამოვსულ ყავი - 1961 წელს, იაპონურ იოკოჰამაში. მაშინ საკავშირო ნაკრების ლიდერი ვიყავი და იაპონიაში ჩემი წასვლა გადაწყვეტილი იყო. დასკვნით შეკრებაზეც ვიყავი ვლადივოსტოკში, მაგრამ სწორედ იქ მაცნობეს მამის გარდაცვალება და მსოფლიო ჩემპიონატიც გამოვტოვე. არადა, მაშინაც კარგ ფორმაში ვიყავი და იქნებ მეორედაც გავმხდარიყავი მსოფლიო ჩემპიონი.

- ალბათ, მსოფლიო ჩემპიონობა ყველაზე ტკბილი მოგონებაა, თუ ამ სიხარულს შეედრება რომელიმე სხვა ნარმატებაც?

- არა, მსოფლიო ჩემპიონობა ყველა ზე მაღლა დგას. მას ვერაფერი შეედრება. საერთოდ, უიღბლო მოჭიდავეს მეძახდნენ და მართლაც ასე იყო. ამიტომ, მადლობა ღმერთს, ხალიჩიდან ოქროს გარეშე არ წავედი და ოლიმპიადაზე თუ ვერა, მსოფლიოზე მაინც გავიმარჯვე. მსოფლიო ჩემპიონატი და ოლიმპიადა ხომ უმთავრესი ტურნირებია და საცოდაობა იქნებოდა, რომელიმეს მოუგებლად წავსულიყავი ხალიჩიდან.

- ალბათ, უსამართლობას საკავშირო ნაკრებშიც ხშირად ნააწყდებოდით, სადაც ძალიან დიდი კონკურენ-ცია იყო, მაგრამ ქართველები მაინც მრავლად იყავით.

- რამდენიც გინდა... ერთ მაგალითს

1958 წელს პირველად უნდა წავსულიყავით ამერიკაში - ამხანაგურ შეხ ვედრაზე მიგვინვიეს. მაშინაც გუნდში თითქმის სულ ქართველები შევდიოდით - მე, მირიან ცალქალამანიძე, ვლადიმერ არსენიანი, ვახტანგ ბალავაძე და ოთარ კანდელაკი. საინტერესოა, რომ სხვა წონებშიც ორი უკრაინელი და ერთი ოსი დგებოდნენ, რუსი კი საერთოდ ვერ ხვდებოდა ნაკრებში. ცხადია, ზემდგომ ინსტანციებში ეს არ მოენონათ და გუნდში რუსის ჩართვა მოითხოვეს. ჩემდა ბედად, იმხანად ერთადერთი და ისიც საშუალოდ დონის რუსი ფალავა-ნი ჩემს წონაში ჭიდაობდა - მინსკელი აქსიონოვი. მართალია, ის არ ცხოვრობდა რუსეთის ფედერაციაში, მაგრამ რუსი იყო და ამიტომ მასზე შეაჩერეს არჩევანი. მით უფრო, სხვები, როგორც მოჭიდავეები, არაფერს წარმოადგენდნენ. მოკლედ, გადაწყდა ნაკრებიდან ჩემი ამოგდება. საკავშირო ნაკრების თავკაც პოტკოვსვის კი სურდა ჩემი წაყვანა, მაგრამ იგი საკავშირო სპორტკომიტეტმა გუნდში რუსის ჩართვა დაიჟინა. ერთხელაც მოვიდა პოტკოვსკი და მითხრა, აქსიონოვთან საკონტროლო შეხვედრა უნდა გაჭიდაოთ და არ მოუგო, ფრედ დაამთავრე, რომ ეგებ ეგ საგო, ფოედ დაათაშე, თადარიგო მოჭიდავედ შევიყვანო და ნი რებიოან არ ამოგავდოო, ამ შეხვედრას საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე რომანოვი და მისი მოადგილე პესლიაკი ესწრებოდნენ, მსაჯი კი სომეხი კარაპეტიანი იყო. როცა ტრადიციულ რიტუალზე მაჯები გამისინჯა, ჩუმად მიჩურჩულა, ფრედ არ იჭიდაო, თორემ არ ნაგიყვანენო... მეც გავედი თუ არა, ავიღე და დავახეთქე ხალიჩაზე. მეორედ გვაჭიდავეს და ისევ იგივე გავუკეთე. მერე თვითონ რომა-ნოვმა თქვა აქსიონოვზე, ამის წაყვანა არ შეიძლებაო და ასე ნამიყვანეს ამერიკულ ტურნეზე. სამწუხაროდ, ასეთი რამეები ხშირად გქონდა მეც და სხვა ქართველებსაც.
- ქართველები მაშინ დომინირებ-

დით საკავშირო ნაკრებში და ასეთ მომენტებში ერთმანეთის დაცვას ვერ ახერხებდით?

ქართველები მაშინ მართლაც ბლომად ვიყავით საკავშირო ნაკრებში მე, ცალქალამანიძე, ბალავაძე, კანდელაკი, გიგიაძე, მუზაშვილი, გაბარაევი, ციმაკურიძე, დაუშვილი, მეკოკიშვილი... მაგრამ მაშინ ისეთი დრო იყო, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობდით, ბევრს ვერაფერს გავაწყობდით. სამაგიეროდ, ერთმანეთთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა გვქონდა და, როგორც შეგვეძლო, ერთმანეთი ისე გაგვქონდა - საჭიდაოდ გასვლის წინ ვარიგებდით და საბრძოლველად ვაწყობდით ერთმანეთს, ასევე ვქომაგობდით და რჩევებით ვეხმარებოდით შეხვედრისას... მახ-სოვს, ერთხელ, თურქეთში მე და ბალავაძე ერთდროულად ვჭიდაობდით. თურქები იმთავითვე ბინძური მეთოდებით ჭიდაობდნენ და მეტოქე ვახტანგ. საც ასე მოექცა - დაეტაკა; პირდაპირ გადააგდო არენიდან და ხელიც მოტეხა. მისი ამბავი ისე განვიცადე, კონცენტრაცია ვერაფრით გავაკეთე - მთელი ყურადღება იქით გადავიტანე და ვნერ-ვიულობდი მის ჯანმრთელობაზე, და ამასობაში მეც წავაგე. ასეთი მეგობრობა გვქონდა და ასე გაგვქონდა ერთმა-

- თქვენი აზრით, საქართველოს ნაკრები მაშინ დამოუკიდებელი გინდით რომ გამოსულიყო, მიაღწევდით იმაზე მეტ წარმატებებს, ვიდრე - საკავშირო ნაკრებში?

- ნამდვილად ბევრად მეტს მივაღ-წევდით. ეგ კი არა, მაშინ მეორე ნაკრებითაც შეგვეძლო საერთაშორისო არენაზე გასვლა და ისიც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებდა. მაშინ ქვეყნის შიგნით რუსები გვჩაგრავდნენ, უცხოეთში - უცხოელები, რადგან რუსები არავის უყვარდა. მათ გამო ჩვენც არ ვეხატებოდით გუზე არავის. ამას აშკარად ვგრძნობდით. მაგალითად, მელბურნის ოლიმპიადაზე საცემრად გამოგვეკიდნენ და სულ კაციჭამიები გვე-ძახეს, 1958 წელს, ზემოხსენებულ ამერიკულ ტურნეზე კინაღამ ჩაგვქოლეს მოგვიანებით ამას უნგრეთის ამბები დაემატა... ძალიან ცუდ დროს დაემთხვა ჩვენი კარიერა... დღეს ცალკე გუნ-დითაც გამოვდივართ და სპორტსმენებიც ბევრად უკეთეს პირობებში ცხოვრობენ და ვარჯიშობენ. მოსამზადებელ პირობებს კი გვიქმნიდნენ, მაგრამ ახლა ანაზღაურება მეტია

- საქართველოს სხვა მხარეების მსგავსად, ჭიდაობა რაჭაშიც პოპულარული იყო. თქვენი არჩევანი გენეტიკამაც ხომ არ განაპირობა?

- გარკვეულწილად, გენეტიკაც იყო, მაგრამ ჭიდაობა ძალიან გვიან - 19 წლისამ დავიწყე. ბავშვობაში ჩვენც ვჭიდა-ობდით, მაგრამ სპორტის ამ სახეობით სერიოზულად 1946 წლიდან დავინტერესდი. მაშინ ონის სკოლაში ვსწავლობ დი, სადაც გაზეთი "ლელო" მოიტანეს. მასში ერთი სტატია იყო სამბოზე ასეთი სათაურით: "მოსწავლემ აჯობა მასწავლებელს". მასში ლაპარაკი იყო შოთა დაუშვილზე და კოსტა კობერიძეზე. კობერიძე ყოფილი საბჭოთა კავშირიდან პირველი ევროპის ჩემპიონი იყო "ანტი-კურში", მაგრამ ის შეხვედრა დაუშვილმა მოიგო. ჭიდაობით სერიოზულად მაშინ დავინტერესდი. ვიფიქრე, ნეტავ, ახლოდან მანახა ეს ხალხი-მეთქი. მოგვიანებით თბილისში რომ ჩამოვედი, ბიძაშვილმა - ვლადიმერ სხირტლაძემ მაშინდელი ორჯონიკიძის ქუჩაზე, ცნო-ბილ პეტრეს დარბაზში წამიყვანა, სადაც პირადად ვნახე ის ხალხი, ვინც მანამ მხოლოდ გაზეთში მენახა - ციმაკურიძე, დაუშვილი, ილურიძე თუ სხვები. ბიძაშვილმა შალვა ნოზაძესთან მიმიყვანა, რომელმაც მომკიდა ხელი და მიპატრონა კიდეც. დასამალი არაა - აქ პატრონი არ მყავდა და საერთო საცხოვრებელში უნდა მეცხოვრა. ხან ერთ ბიძაშვილთან ეცხოვრობდი, ხან -

მეორესთან, ნოზაძემ კი ბოლომდე მიპატრონა. ერთ თვეში სპორტსაზოგა-დოება "სპარტკაში" 100 მანეთი დამინიშნა ხელფასი, რაც ჩემთვის ძალიან დიდი ფული იყო. მერეც სულ მრთავდა შეკრებებში, სადაც ყოველდღიური სახარჯო ფული გვეძლეოდა და შიგადაშიგ სახლში გაგზავნასაც ვახერხებდი. მოგვიანებით ახალგაზრდებში საკავში-რო პირველობებში წარმატებები რომ მოვიპოვე, ნაკრების მწვრთნელმა, ზემოხსენებულმა კოსტა კობერიძემ გუნ დშიც მიმიწვია. ჭიდაობიდან წასვლა მამაჩემის გარდაცვალებამ მაიძულა ოჯახი და ცოლ-შვილი მყავდა მისახედი, თორემ კიდევ ვიჭიდავებდი ერთხანს.

თქვენს სპორსტმენობას ყველ ზე მეტად ვის უმადლით - ნოზაძეს?

ნოზაძეს და მაშინდელი ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე ფალავანდიშვილს. მან რომელიღაც ტურნირზე მნახა და რაკი მოვეწონე, დიდი ამაგი დამდო.

- პირველ ნაბიჯები მუდამ რთუ ლია. მით უფრო, თქვენს შემთხვევაში, რადგან რაიონიდან ჩამოსულს თავიც უნდა დაგემკვიდრებინათ. რამ მოგ-ცათ სპორტში დარჩენის სტიმული, ხომ არ გქონდათ კრიტიკული მომენტები?

- როგორ არა! მამაჩემს არც მოსწონდა ჩემი ჭიდაობა - ერთხელ რომელიღაც ტურნირს დაესწრო და მერე მეჩხუბა, შენგან დიდი მოჭიდავე არ გამოვა და სხვა საქმეს ეწიეო. ამით გაბრაზებული ავდექი და რაჭაში გავვარდი. თუმცა სოფელში იქაც არ გავჩერე-ბულვარდა სულაც მთაში წავედი სათიბად. მაშინ ონში კომკავშირის კომიტეტის მდივნად აბაიშვილი მუშაობდა, რომელიც თბილისში დაუბარებიათ და ნოზაძის მითითებით დაავალეს, ეგ კაცი დააპატიმრეთ და ისე ჩამოიყვანეთ თბილისშიო. მართლაც, ამომაკითხეს სათიბში, დამაპატიმრეს და ისე წამომიყვანეს. გაგიჟდა ხალხი, რა დააშავე ეგეთიო. ჩამომიყვანეს და მაშინვე ახალგაზრდების საკავშირო პირველო ბაზე წამიყვანეს, სადაც ფინალში მანეევთან ფრედ ვიჭიდავე და ეს უვარჯიშებელი, სათიბიდან წამოყვანილი კაცი მეორეზე გავედი. მაგრამ საკავშირო ნაკრებში მაინც მოვხვდი. სხვათა შორის, იმ პერიოდში "ანტი-

კურსაც" ვჭიდაობდი და წარმატებები იქაც მოვიპოვე. ერთხელ ნოზაძეს ვუთხარი, თავისუფალში ციმაკურიძეა, კლასიკურში - კარტოზია, ამათთან შანსი არა მაქვს და დავანებებ თავს-მეთქი. არავითარ შემთხვევაშიო, მითხრა ნოზაძემ, დადგება დრო და მოუგებო... საბოლოოდ "თავისუფალი" ავირჩიე და ჭიდაობასაც შემოვრჩი.

- ოჯახზე რას გვეტყვით - შვილები ან შვილიშვილები გაჰყვნენ თქვენს

- მადლობა ღმერთს, ბედისა ამ მხრივაც კმაყოფილი ვარ. ორი ბიჭი მყავს, სამი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი. იმას შემოვევლე, ისაა

ჩემი სიცოცხლე. უფროსი ბიჭი ჭიდაობდა და ახალ-გაზრდებში საკავშირო პირველობების პრიზიორიც გახდა. ჩემზე უკეთესი მოხაცემებიც ჰქონდა, მაგრამ ჯარში ყოფნისას დაჩრდილვა მიიღო და მისი ჭიდაობა არ შეიძლებოდა. უმცროსი ფეხბურთს თამაშობდა ელგუჯა გუგუშვილთან, ერთი ხანობა ქუთაისშიც ინვევდნენ, მერე - რუსეთშიც სთავა-ზობდნენ გადასვლას, მაგრამ საბოლოოდ ისიც შეეშვა სპორტს. ფეხბურთს უფროსი შვილიშვილიც თამაშობდა, თუმცა იმანაც დაანება. ძალიან ბევრი მწვრთნელი გამოიცვალა, რასაც თავიდანვე ვუშლიდი, ეს ხეირს არ მოგიტანს-მეთქი... მერე ტრავმებმაც შეანუხა და დაანება თავი. სამაგიეროდ, მწვრთნელის პროფესიას გაჰყვა.

ირაკლი თავაძე





しろもろんの3つ50 しんしょうしょう かりょうしょうしょう JManajan bykamangajan

c ucmmers c

noacomosco

NBA-L 35ᲠL33Ლ53Თ5 Მ5ᲢᲩᲘL Გ5ᲛᲝᲙᲘᲗᲮ35

62960

გუშინ გამოქვეყნდა NBA-ს "ოლ სტარის" გამოკითხვის საშუალედო შედეგები. წინასწარ გეტყვით, აღმოსავლეთის კონფერენციაში ცენტრის პოზიციაზე ჯერჯერობით საუკეთესო მაჩვენებელი "ორლანდოს" ცენტრს თაივეხებელი "ორლანდოს" ცენტრს დუაიტ ჰოვარდს აქვს - 596 187 ხმა, ზაზა ფაჩულია კი მეათე ადგილზეა (19 210) და ვარსკვლავთა მატჩის ძირითად ხუთეულში მოხვედრის მიზერული შა6სი აქვს, მაგრამ ქართველ ქომაგს მოვუწოდებთ, რომ www.nba.com-ზე ზაზას შეძლებისდაგვარად ყველდღიურად მისცეს ხმა, რათა ფაჩულიამ შედა-რებით საპატიო ადგილზე აინაცვლოს. თუმცაღა, ვარსკვლავთა მატჩის გამო-კითხვაში მონაწილეობა თავისთავად დიდი მიღწევაა. იმასაც დავამატებთ, რომ ატლანტაში "ოლ სტარის" კითხვის წინასწარი კომპანიაა გაჩალებული - ზაზა ფაჩულიას და **ჯო ჯონსო**ნის პლაკატები ატლანტას მეტროს

სადგურებსა და საზოგადოებრივ გრანსპორგზეა გამოფენილი.

ბოლოს გაგაცნობთ აღმოსავლელ ცენტრთა მიერ მოგროვილ საშუალედო შედეგებს და შეგახსენებთ, რომ გამოკითხვაში გამარჯვებული ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს, სათადარიებს მწვრთნელები აარჩევენ, ხოლო NBA-ს "ოლ სტარი" 2008 წლის 17 თებერველს ნიუ ორლეანში გაიმართება.

დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) 596.187 ხმა, **შაკილ ონილი** (მაიამი) 282.727, რაშიდ უოლასი (დეტროიტი) 69.331, **ბენ უოლასი** (ჩიკაგო) - 68.871, **ჯერმეინ ონილი** (ინდიანა) - 53.107, **ენ**დრიუ ბოგუტი (მილუოკი) - 39.764, ჟიდრუნას ილგაუსკასი (კლივლენდი) - 27.814, ემეკა ოკაფორი (შარლოტი) - 27.040, ედი კარი (ნიუ იორკი) - 19.494, ზაზა ფაჩულია (ატლანტა) - 19.210.



ნუგზარ სუარიძის ფოტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. VIII ᲢᲣᲠᲘ. ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

გუშინ კლუბ "12 მაგიდაში" "ავიამ-შენი"-"ვითას" წინასამატჩო პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტებთან შეხვედრის შემდეგ ამ გუნდების მოთამაშეები ერთმანეთში თავ-თავის სიძლიერეს მეგობრულად არკვევდნენ, ინდიკატორად კი "დინამო" მოჰყავდათ. "ავიატორებმა" მიმდინარე სეზონში ორად-ორი მატჩი მოიგეს, ორივე "დი-ნამოსთან", ხოლო "ვითამ" "აზოტთან" ორ მარცხს თუ არ ჩავთვლით, ერთადერთი შეხვედრა წააგო და ისიც "დინამოსთან". მოკლედ, ლოგიკა ვერ მოინახა, თუმცა მის ძიებას არც მანამდე ჰქონდა აზრი - "ავიამშენი" უფრო ძლიერია თუ "ვითა", კვირას გამოჩნდება. ამ გუნდებს წესით 11 ნოემბერსაც

უნდა ეთამაშათ, მაგრამ საგანგებო მდგომარეობის გამო მესამე ტური 27 დეკემბრისთვის გადაიდო. ამ დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: "მაკაბი"-თსუ, "ვითა"-"ავიამშენი" და "აზოტი"-"დინამო"

სამივე ეს მატჩი ხვალაც გაიმართება. მათ სანახავად შეგიძლიათ სპორტის სასახლეში მობრძანდეთ. გვპირდებიან, რომ კვირას დარბაზი სათანადოდ გათბება. თამამად ამიტომაც ვეპატიჟებით ქომაგებს.

ახლა პრესკონფერენციას დავუბრუნდეთ, რომელიც "ავიამშენის" მწვრთნელმა **ლევან მოსეშვილმა** გახსნა: - სეზონი ცუდად დავიწყეთ. ამის

მიზეზი შეუთამაშებლობა და სათამაშო პრაქტიკის უქონლობა იყო. ამასთან სრულფასოვანი წინასასეზონო შეკრება გაგვივლია. ეს მიზეზები ჩვენს თამაშზე უარყოფითად ისახება, მაგრამ ყველა შეცდომა უკვე გავაანალიზეთ და უახლოეს მატჩებში სიტუაცია უკეთესობისკენ უნდა შეიცვალოს. ვიმე-დოვნებთ, "ვითასთან" მატჩში იმ თამაშს ვუჩვენებთ, რომელსაც ქომაგი

მწვრთნელის საუბარი "ავიას" გამთამაშებელმა ბუბა კვიმსაძემ განაგრdm: - გუნდური თამაში თუ ვუჩვენეთ, მეტოქის დამარცხებას შევძლებთ. ამის იმედი მაქვს და, ვფიქრობ, ჩვენი ნარუ-მატებლობა წარსულს ჩაბარდება.

"ავიატორთა" კაპიტანი ირაკლი ხოშტარია: - პრესკონფერენციაზე მოსვლა ჩემთვის ძალიან რთული იყო, რადგან სეზონის ასეთი ნარუმატებელი დასაწყისი აქამდე არ მქონია და საუბარი მიჭირს. ერთ მოკლე მონაკვეთში 5 წაგება როდის მქონდა, არც მახსოვს. მომწყინდა სპორტის სასახლიდან ყოველი მატჩის შემდეგ თავჩალუნული გასვლა. ...გაპარვა. თუმცა ყველა პრობლემა ეტაპობრივად უნდა გადაილახოს და საბოლოოდ შედეგიც მოვა. "ვითა" გამოცდილი გუნდია და კვირას რთული შეხვედრა გველის.


"ვითას" მწვრთნელმა **ზურაბ ტომა**რაძემ ლაპარაკი წინა ტურში "დინამოს-

თან" წაგებით დაიწყო: - სატურნირო ცხრილს რუსთავის "აზოტი" ლიდერობს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ იგი თუნდაც რუსთავში ნებისმიერ მეტოქესთან ფავორიტია. ამ ჩემპიონატში ყველა გუნდი თანაბარი ძალისაა. არც "დინამოა" გამონაკლისი. მასთან წაგება ჩვენთვის ცივი შხაპის ტოლფასი იყო და ვფიქრობ უკვე გამოვფხიზლდით. კვირის მატჩში დაგვაკლდება ბუბა ბერიშვილი და ლუკა ნოზაძე, სამაგიეროდ დაგვიბრუნდა კაპიტანი ვაკო ბეჟანიშვილი.

"ვითას" ცენტრმა **დავით ბერძენიშ**ვილმა მეტოქე გუნდის თანაამპლუე ლებზე ილაპარაკა: - "ავიას" წინა ხაზში არაერთი კარგი მოთამაშე ჰყავს და მწვრთნელი მათ ხშირად ცვლის. ჩვენ არც ისე გრძელი სათადარიგოთა სკამი გვაქვს და დიდი მნიშვნელობა ექნება ბოლო წუთებისთვის ძალების შენახვას. ვიმედოვნებ, რომ ამ საინტერესო მატჩის სანახავად სპორტის სასახლეში ქომაგი აუცილებლად მოვა. მაინცდამაინც ფინალები უნდა იყოს გულშემატკივარი კალათბურთზე რომ მოვიდეს?

პრესკონფერენცია ვითელმა სნაიპერმა მიხეილ ბერიშვილმა დახურა: -"ავიამშენთან" მატჩისთვის კარგად მოვემზადეთ და წარმატების იმედიც გვაქვს. ძალიან დაგვაკლდებიან ბუბა ბერიშვილი და ლუკა ნოზაძე.

ვაჟა სიმონიშვილი



hannen


ᲚᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ ᲒᲐᲔᲖᲠᲓᲔᲑᲐ

ბა07730 № 1 კომპლექსურ სასპორტო სკოლას, რომელიც 2007 წლიდან ქალაქის მერიის დაფინანსებაზეა, მომავალი წლიდან დაფინანსება გაეზრდება. - ამის შესახებ სპორტსკოლაში მისულმა ქალაქის თავმა რობერტ ჩხაიძემ განაცხადა. "წლევანდელი ბიუჯეტი 418 000 ლარი იყო, მომავალში კი იგი 650 000 ლარამდე გაიზრდება. გარდა ამისა, დამატებით გამოიყოფა 200 000 ლარი, რომელიც სპორტული ინვენტარის შეძენას მოხმარდება". - აღნიშნა რობერტ ჩხაიძემ. ქალაქის მერიის ხელმძღვანელობის განცხადებით, 2008 წლის გაზაფხულზე აჭარა ჭიდაობაში საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. თავად სპორტსკოლის ხელმძღვანელობის განცხადებით, გაზრდილი ბიუჯეტი მწვრთნელების ხელფასებზეც აისახება, რაც მათ მუშაობისთვის დამატებით სტიმულს მისცემს.

ირაკლი Დბრცმელიძე



გურამ ტურაშვილის ფოტ





LYJYYYUZUL JYWY JYWY JUZUSUYYY JManajan bykamangajem

 $\mathfrak{s}\mathfrak{n}\mathfrak{s}\mathfrak{m}\mathfrak{m}\mathfrak{m}\mathfrak{o}\mathfrak{b}\mathfrak{s}$

acenosn

ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲬᲣᲠᲣᲚᲡ. ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲠᲝᲛᲐᲜ ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐᲡᲗᲐᲜ

Joseph Andersel 36131601350

რომან სიჭინაპა ზუსტად ერთი წელია, რაც ჭადრაკის ფედერაციას ხელმძღვანელობს. წლის ბოლოს მას განვლილი სეზონის შესაჯამებლად ვესტუმრეთ.

- უმთაპრესი პრობლემა ფინანსური იყო, კერძოდ - სახელფასო და საგადასახადო დავალიანებები. სახელმწიფოსი 130 ათასი ლარი გვემართა, სახელფასო ვალი კიდევ სხვა იყო. ჩვენი მოსვლის შემდეგ სახელმწიფო ვალი 77 500 ლარამდე შემცირდა, თითქმის განახევრდა სახელფასო დავალიანებაც. დამეთახმებით, არ არის ცუდი შედეგი, რაშიც ჩვენი მეგობრები და სპონსორები დაგვეხმარნენ. უმნიშვნელოვანის ის, რომ შევძელით 2007 წლის ყველა აუციტურნირში მონაწილეობა: მსოფლიოსა და ევროპის გუნდური ჩემპიონატები, ანალოგიური ასაკობრივი ჩემპიონატები; შევძელით საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების დროულად და კარგად გამართვა, ხოლო საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე სრულად თუ ნაწილობრივ დავაფინანსეთ.

სპორტის დეპარტამენტისგან ამ ღონისძიებებზე 100 ათასი ლარი გვქონდა, ანუ ჩვენი წლევანდელი ბიუჯეტი ამდენს შეადგენდა, საერთო დანახარჯმა კი 300 ათასი ლარი შეადგინა. ცხადია, 200 ათასის შოვნა ჩვენ მოგვინია და, საბედნიეროდ, ეს შევძელით. ვსარგებლობ შემთხვევით და უღრმეს მადლობას მოვახსენებ იმ პიროვნებებს და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, ვინც ხელი გაგვიმართა. მათ შორის გამოვარჩევ "ქართუ ჯგუფსა" და კომპანია "წყალი მარგებელის" გენერალურ დირექტორს გია გოგოლაძეს. ამ ხალხის დახმარების იმედი კვლავ გვაქვს და მომავალი წელიც იმედია, რომ პროდუქტიული გვექნება.

რაც შეეხება წმინდა საჭადრაკო მიღნევებს, გამოსარჩევ ნარმატებებს ასაკობრივ ჩემპიონატებში მივაღწევთ: ევროპის ჩემპიონატზეც ავიღეთ ოქროს მედალი და მსოფლიოზეც. ასეთ შედეგს ქართველი ბავშვები ტრადიციულად ანევენ და კარგია, რომ ტენდენცია შენარჩუნებულია. სამწუხაროდ,

დამაკმაყოფილებელი შედეგები ვერ ვაჩვენეთ გუნდურ შეჯიბრებებში: მაისში ეკატერინბურგში მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც საქართველოს ქალთა ნაკრებმა 10 გუნდს შორის მეოთხე ადგილი დაიკავა, ევროპის ჩემპიონატზე კი, რომელიც შემოდგომით, ოქტომბერში ბერძნულ კუნძულ კრეტაზე გაიმართა, მეხუთე ადგილი დავიკავეთ. ქართველ ქალთგან დაჩვეულ წარმატებას, ცხადია, ასეთი შედეგები არ შეეფერება. ინდივიდუალურადაც არ მოგვიპოვებია დიდი გამარჯვებები, თუმცა რამდენიმე კარგი შედეგი კი გვქონდა: მაგალითად, ლევან ფანცულაიამ დუბაის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, ლევანმა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზეც კარგად ითამაშა და მესამე დაფაზე ბრინჯაოს მედალი აიღო. ამ მხრივ თავი გამოიჩინეს ნანა ძაგნიძემ, რომელმაც ასევე მესამე დაფაზე ოქროს მედალი მოიპოვა. მაია ლომინეიშვილმა - მან მეოთხე დაფაზე ბრინჯაო ირგუნა.

ალბათ იკითხავთ, თუ რა არის წარუმატებლობის მიზეზი. მთავარი მიზეზი ფინანსური გახლავთ. მოჭადრაკეებმა სპეციალური შეკრებები უშუალოდ ტურნირის წინ კი არ უნდა გაიარონ, არამედ მთელი წლის განმავლობაში სისტემატურად უნდა ივარჯიშონ. წვრთნას ხელმძღვანელი - მწვრთნელი სჭირდება, მწვრთნელს კი - ხელფასი. ასეთ მზადებას საკმაოდ დიდი თანხა უნდა, რაც, ჩვენ არ გაგვაჩნია. ის კი არადა, მწვრთნელსაც კი ვერ ვაძლევთ ხელფასს, ან თუ ვაძლევთ, ძალიან

- ნაკრები გასაგებია, მაგრამ მთავარი მაინც ქვეყანაში ჭადრაკის განვითარებაა. ახალი თაობისთვის ხელშენყობა და დაფინანსება. ამ მხრივ რა გააკეთეთ და რას აპირებთ მომა-

- ჭადრაკი არ არის შემოსავლიანი სახეობა, ამიტომ თუკი სახელმწიფოს ინტერესის სფეროში არ მოხვდება, ვერ განვითარდება. როგორც გითხარით, წელს 100 ათასი გვქონდა ბიუჯეტი, მაშინ, როცა თურქეთის ჭადრაკის ფედერაციას 8 მილიონი დოლარი აქვს, ინდოეთისას - 6 მილიონი. სხვა ქვეყნებშიც ძალიან მაღალია დაფინანსება, მათ შორის - სახელმწიფო გაიზრდება ჩვენი ბიუჯეტი -გაიზრდება შედეგებიც.

- ამ საკითხზე ხელისუფლებასთან თუ გაქვთ კონსულტაციები და რა პოზიცია უჭირავთ მათ?

გაგებით ეკიდებიან ჩვენს მოთხოვნებს და წინადადებებს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ჭადრაკის ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ოლიმპიურ სახეობად არაა აღიარებული. აშკარაა, რომ ეს დაბრკოლებაა უმთავრესი. კარგი იქნება, თუკი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება გულთან ახლოს მიიტანს ჩვენს საკითხს და ჭადრაკს ოლიმპიურ სახეობებს გაუთანაბრებს. სხვათა შორის, მსოფლიოს 75 ქვეყანაში ჭადრაკს ასეთი სტატუსი აქვს და ამიტომაც არ ექნებათ პრობლემები დაფინანსების

- ბატონო რომან, შეგახსენებთ, რომ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის მიერ ჭადრაკი კარგა ხანია, პრიორიტეტულ სახეობად არის აღიარებული. კვლავ ერთ არაოლიმპიურ სახეობასთან, რაგბისთან, ერთად, რაც, ფაქტობრივად ოლიმპიურ სახეობებთან გათანაბრებას გულისხ მობს. ამიტომ ცოტა რთულია იმის გაგება, რას შეცვლის სხვაგვარი სტატუსის მინიჭება.

- გასაგებია, რომ პრიორიტეტულ სახეობად ვართ აღიარებული, მაგრამ თანხები საჭირო რაოდენობით არ გვეძლევა. ოლიმპიური სტატუსი არის მთავარი გასაღები პრობლემისა. ამ საკითხებზე დიდი ხანია ვფიქობ და, სპორტული სამყარო ზუსტად განვითარების ასეთ გზას მიიჩნევს მართებულად. ჩვენც იმედიანად ვართ და უახლოეს ხანში, არჩევნების შემდეგ, ყველაფერი ნათელი გახდება. ბიუჯეტიც აუცილებლად გაგვეზრდება.
- რა ოდენობის ბიუჯეტს ელოდე-

- 250 ათას ლარამდე. ცხადია, ეს საკმარისი არ არის და კვლავაც ვეცდებით სპონსორული თანხების მოძიებას, მაგრამ 100 ათასს, რომ ბევრად ჯობია,

- საქართველო დღითიდღე წამყვანი მოჭადრაკეების დაკარგვის საშიშ-



როების წინაშეა: ზვიად იზორია ფაქტობრივად დაკარგულია, ანა მათნაძეც ესპანეთშია და მალე მიიღებს ამ ქვეყნის სახელით თამაშის უფლებას. გუშინწინდელ "ლელოში" კი ქვეყნიდან ნასვლის სურვილი მერაბ გაგუნაშვილმა გამოთქვა. ხვალ და ზეგ ამ ნუსხას შესაძლოა, სხვებიც შეემატოს. ეს პროლემა არ გაფიქრებთ?

- ნამდვილად არ არის სასიამოვნო პროცესი, მაგრამ ჩვენ ვერავის დავუშლით, სურვილისამებრ მოიქცეს. ყველა ეძებს და სურს საუკეთესო პირობებში იცხოვროს და ითამაშოს. ამ მიზნით წლების მანძილზე საქართველოდან მრავალი მოჭადრაკე წავიდა: გერმანიაში არიან დავით ლობჟანიძე, დავით ბარამიძე, ქეთევან კახიანი; ჰოლანდიაში თეა ლანჩავა. ამ ჩამონათვალს გაგრძელება კიდევ შეიძლება. მათ უცხოეთში სოლიდურ გასამრჯელოს აძლევენ, ჩვენ კი ასეთი შესაძლებლობები არა გვაქვს. კვლავაც სახელმწიფოს მხარდაჭერასთან მივდივართ - იქნება თანხები - ამ პროცესსაც შევაჩერებთ.

- ქართველი მოჭადრაკეები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში არ ტარდება ტურნირები, სადაც ოსტატობის ამაღლება და პრაქტიკის მიღებაა შესაძლებელი.

- ამ მხრივ პრობლემა კი გვაქვს, მაგ რამ ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაინც ვახერხებთ რამდენიმე ტურნირის ჩატარებას. საშუალო სიდიდის საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას კი დაახლოებით 50 ათასი დოლარი სჭირდება. ახალგაზრდა თაობამ რომ კლასი აიმაღლოს, წელიწადში მინიმუმ 4-5 ასეთ ტურნირში უნდა ითამაშოს. ჯერ ვერ ვახერხებთ, მაგრამ მომავალში ალბათ შევძლებთ ამ კუთხითაც მნიშვნელოვან წინსვლას.

- ახლახან ანთალიიდან ორი მსოფლიოს ჩემპიონი დაგვიბრუნდა: ქეთი წაწალაშვილი და ნაზი პაიკიძე. ფედე რაციამ თუ წაახალისა მსოფლიო ჩემ-

- მათ დაენიშნათ სტიპენდია 100 ლარის ოდენობით. თუკი ბიუჯეტი გაგვეზრდება, სტიპენდიაც მოიმატებს. ბიუჯეტის გაზრდა კი დაგვეხმარება მომავალი წლის უმნიშვნელოვანესი ტურნირებისთვის სათანადოდ მოვემზადოთ: საჭადრაკო ოლიმპიადა გერმანიაში ჩატარდება და ეს არის უპირველესი სამიზნე. ასევე არგენტინაში ჩატარდება ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც 6 ქართველი მიიღებს მონაწილეობას: მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, სოფიკო ხუხაშვილი, სოფიო გვეტაძე და მაია ლომინეიშვლი. ტრადიციულად სწორება გვექნება ევროპისა და მსოფლიოს ასაობრივ ჩემპიონატზეც. მჯერა, რომ 2008 წელი წლევანდელზე ბევრად უკეთესი იქნება.

ზვიად შათირიშვილი



გუშინ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს მოჭადრაკეებთან შეხვედრა გაიმართა. ქართველმა მოჭადრაკეებმა 17-29 ნოემბერს თურქეთის ქალაქ ანტალიაში ჩატარებულ მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს.

საქართველომ გუნდური მეორე ადგილი დაიკავა და მხოლოდ 300-კაციან რუსულ დელეგაციას ჩამორჩა. ჩემპიო-ნები გახდნენ: 14 წლამდელებში **ნაზი** პაიკიძე და 16 წლამდელებში - ქეთი წანალაშვილი; მერი არაბიძემ 14 წლამდელებში ვერცხლის მედალი ირგუნა. გარდა პრიზიორებისა, ანთალიაშივე ჩატარებულ, ეტიუდების ამოხსნაში რიგით მეორე მსოფლიო ჩემპიონატში 18 წლამდე გოგონებში ჩემპიონი სალომე

12

სირაძე გახდა; მეორე იყო მერი ჟორყოლიანი; ასევე მეორე ადგილზე გა-ვიდნენ: 14 წლამდელებში ანა კუჭავა, 10 წლამდელებში - მარიამ ჭოლაძე.

შეხვედრაზე ბრძანდებოდნენ: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **რომან სიჭინავა**, ანთალიაში ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი მაკა ხანთაძე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ეტიუდების შედგენაში და ამ კატეგორიაში მსოფლიო ჩემიონატის დამაარსებელი დავით გურგენიძე, იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი **ალეკო არსენიძე**. მასპინძელი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **გია გალდავა** გახლდათ.

საჭადრაკო სამყაროს წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს მსოფლიო ჩემპიონატის პერიპეტიები

3439U?

და ყველას მადობა გადაუხადეს, ვინც ამ წარმატებაში წვლილი დაიდო... აღინიშნა, რომ ქართველი მოჭადრაკეები ასაკობრივ ჩემპიონატებში ტრადიციულად ძლიერად თამაშობენ და ამ ტურნირების არსებობის მანზილზე ჩვენს ყულაბაში 103 სხვადასხვა სინჯის მედალია. ისიც ითქვა: მიუხედავად წარმატებისა, მეტ მედალს ველოდით, განსაკუთრებით - ვაჟებისგან, მაგრამ სამწუხაროდ, მათ ეს ამჯერად ვერ შეძლეს.

სპორტსმენისადმი გამოჩენილი ყურადღება ძალზედ სასიამოვნოა, მაგრამ როცა გარჯას სათანადოდ გიფასებენ, ორმაგად გასახარია. ამის საბაბი წარმატებულ მოჭადრაკეებს ნამდვილად ჰქონდათ: სპორტის დეპარტამენტმა მოჭადრაკეებს, მწვრთნელებს, დელეგაციის ხელმძღვანელებს და დავით გურგენიძეს სპეციალური დიპლომები გადასცა; ყველაზე კარგი ინფორმაცია კი ბატონმა გია გალდავამ ბოლოსკენ გაახმოვანა: დეპარტამენტში მუშავდება პროექტი, რომელიც პრემიალური თანხების გაცემას არაოლიმპიური სახეობების წარმომადგენლებისთვისაც ითვალისწინებს. ამ სიაში უპირველესნი ახალგზარდა მოჭადრაკეები იქნებიან და მომავალი წლის დასაწყისში შესაბამისი თანხები გადაეცემათ.

ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობამ წარმატებულებს ახალი ელექტონული საათები გადასცა, რომელიც,

სხვათა შორის, საქართველოს დელეგაციას ანთალიაში გუნდური მეორე ადილისთვის ერგო. ფედერაცია ჩემპიო-ნებს და პრიზიორებს მთელი წლის მანძილზე სტიპენდიებსაც დაუნიშნავს.

გუშინ დეპარტამენტში ვერ ვიხილეთ ნაზი პაიკიძე, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს, თუმც დიპლომს და საათს მაინც მიიღებს - ფედერაცია უახლოეს მომა ვალში პრიზებს მოსკოვში გადააგზავნის.

ამით დავასრულებდით, მაგრამ ერთ მშვენიერ ჟესტზეც უნდა ვთქვათ: როგორც იცით, ქართველი დიდოსტატი, ამჟამად ბარსელონაში მცხოვრები **ანა** მათნაძე საერთაშორისო საჭადრაკო მოძრაობის - "ჭადრაკი - მშვიდობის ელჩის" პრეზიდენტია. ეს ორგაიზაცია

არეალს და დიდ ავტორიტეტსაც იხვეჭს. ანამ, მისი ორგანიზაციის სახელით ქეთი ნანალაშვილს, რომელიც ანას თანაქალაქელია (თელაველი გახლავთ), დიდი საჩუქარი უძღვნა სიურპრიზად: 2008 წლის მარტში ქეთი კანარის კუნძულებზე გაემგზავრება დიდ საერთაშორისო ტურნირზე. აბსოლუტურად ყველა ხარჯს ორგანიზაცია "ჭადრაკი - მშვიდობის ელჩი" გაიღებს დიდებული საჩუქარია და, რაც მთავარია, სამაგალითო. ღმერთმა ქნას სხვა შეძლებულმა ქართველებმაც მოიხედონ ჭადრაკისკენ და ჩვენს ნიჭიერ გოგო-ბიჭებს გარჯა დაუფასონ.

ზვიად შათირიშვილი

mannen

მბრლენ ჩსისმბაშვილი. დაიბადა 15.12.1930, კოდა, თეთრი წყარო. თავისუფალი ჭიდაობა, მნვრთნელი. საქართველოს ახალგაზრდული (1970-77) და პირველი (1978) ნაკრებების უფ-როსი მწვრთნელი, სსრკ ნაკრების მწვრთნელი საქართველოში (1979-81). მისი აღზრდილები არიან: ზაზა თურმანიძე, დავით გიგაური, ალექსი მოდებაძე, ზვიად სისაური და რევაზ მინდორაშვილი. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენის კავალერი.

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔᲡᲐᲜᲔᲑᲚᲘᲫᲔ.დაიბადა 15.12.1922, თბილისი. ცნობილი ტანმოვარჯიშე, პედაგოგი UII როს IX-I სანაშა IX-IX დაიბადა 15.12.1922, თბილისი. ცნობილი ტანმოვარჯიშე, პედაგოგი და სპორტის მოღვანე. სპორტის ოსტატი, იყო სპორტის გაციემიის მასნავლებელი, ტანვარჯიშის კათედრის გამგე (1955-67), დაუსწრებელი ფაკულტეტის დეკანი (1968-81), კეალიფიკაციის ამაღლების დეკანი (1965-2005). მუშაობდა ინდოეთში (1961-63), სადაც მონანილეობდა სპორტის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში და ხელმძღვანელობდა ტანვარჯიშის კათედრას. 1954 წლიდან რეჟისორობდა სპორტლ ცერემონიალებს, მასობრივ ტანვარჯიშულ გამოსვლებს. 9 წიგნისა და მრავალი შრომის ავტორი, ტანვარჯიშის ქართული ტერმინოლოგიის ერთ-ერთი შემქმნელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 2007 წლის თებერვალში.





LJJJAM395ML JAM3675N MSNJJ JManajan bykamangaja

UMPOSTUMI anaminmod da

hoaan

LOYALCAPITAL

წლევანდელი სეზონი ქართული

რაგბის ისტორიაში მკვეთრად გა-

მორჩეულია. ქართველი ბორჯღა-

ლოსნების საფრანგეთში, მსოფლიოს

თასზე გამოსვლა ალბათ წლის ყველა-

ზე რეზონანსული სპორტული მოვ-ლენაა ჩვენში. საქართველოს ნაკრებ-მა მსოფლიო რაგბის უდიდეს ფორუშ-

ზე თავი ღირსეულად ნარმოაჩინა,

რის შედეგადაც დამოკიდებულება

ქართული რაგბისადმი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს

განვლილი სარაგბო წლის შეფასე-

ანვლილი სეზონი საქართვე-

ლოს ნაკრებისთვის უდაოდ წარმატებული იყო. ეროვნულმა

გუნდმა დასახული გეგმა, მოეგო ერთი

შეხვედრა და ღირსეული ბრძოლა გაე-

მართა ჯგუფის ფავორიტებისთვის, შე-

იძლება ითქვას გადაჭარბებით შეასრუ-

ლა. არავისთვის საიდუმლო არაა, რომ

მსოფლიო თასზე უმძიმეს ჯგუფში მოვხვდით. არგენტინის და ირლანდიის

ნაკრებებთან მატჩში კი ჩვენმა გუნდმა

ისეთი ხარისხის თამაში აჩვენა, რომ

ქართული რაგბი სხვა სიმაღლეზე აიყ-

ვანა. საქართველოს ნაკრებისადმი და-

მოკიდებულება ძირფესვიანად შეიცვა-

ლა. მეტიც, საქართველოს ნაკრები სა-

მაგალითო გახდა ყველასთვის. IRB-ის

დიდმოხელეები არაერთხელ ხაზგას-

მით აღნიშნავენ, თუ როგორი შედეგი

შეიძლება მიიღო სწორი მუშაობით.

ამასთან უმთავრესად, სწორედ ჩვენი

ნაკრების კარგმა თამაშმა, ცხადია სხვა

2011 წელს გუნდების რაოდენობს შემ-

ცირების გადაწყვეტილება შეცვალა.

ბა და მომავლის გეგმებზე საუბარი სა-ქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-

პრეზიდენტ გია ნიჟარაძეს ვთხოვეთ.

გარეთ, რადიკალურად შეიცვალა.





ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲬᲣᲠᲣᲚᲡ. ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲒᲘᲐ ᲜᲘᲥᲐᲠᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ

35953643331 5066399060

ᲠᲐᲒᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ



- საფრანგეთის მსოფლიო თასი უკვე ისტორიის საკუთრებაა. ეროვ-ნულმა ნაკრებმა კი სამომავლოდ ალბათ, როგორც მინიმუმ, მიღნეულის შენარჩუნებისთვის უნდა იბრძოლოს. საფრანგეთში წარმატებულ თა-

მაშთან ერთად ცხადია ნაკლოვანებებიც თვალნათლივ წარმოჩინდა, რაც ძირითადად გუნდის სათამაშო სტილს, თამაშის ორგანიზაციას ეხება. სამომავლოდ ნაკრებს მკაცრ მოთხოვნებს წავუყენებთ. გასატარებელია უზარმაზარი სამუშაო. მომავალი ოთხწლიანი ციკლის შედეგი მინიმუმი მსოფლიო თასზე მოვხედრა არ უნდა იყოს. მიზანი 2011 წლის მსოფლიო თასზე ჯგუფიდან გასვლა იქნება. უარეს შემთხვევაში კი -იმ ადგილის მოპოვება, რაც შემდგომ მსოფლიო თასზე თამაში სგარანტიას მოგვცემს. ამისათვის ასამაღლებლია თამაშის ხარისხი, გუნდმა უნდა შეითვისო მრავალფეროვანი ტაქტიკა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეცვლის. უკანა ხაზის თამაშის დონე უნდა გაუტოლდეს შერკინებისას და ორივე ერთად სწრაფად უნდა განვითარდეს.

- ყოველივე ამასთან უშუალო კავშირშია შიდა სარაგბო ჩემპიონატი. როგორ შეაფასებდით საშინაო ჩემპიონატის დონეს?

საქართველოს ნაკრების დონესა და შიდა ჩემპიონატის დონეს შორის ძალიან დიდი სხვაობაა, რაც მომავალში, თუ ასე გაგრძელდა, ძალიან დიდ პრობლემებს შექმნის. შიდა ჩემპიონატი არის ქართული რაგბის აქილევსის ქუსლი. გვაქვს უამრავი პრობლემა. ძალიან დამაფიქრებელია საქართველოს ჩემპიონატის დაბალი დონე, რომელიც რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული:

ფინანსური სიდუხჭირე, გაუმართავი ინფრასტრუქტურა, მენეჯმენტის დაბალი დონე. ყოველივე ამის შედეგი მოთამაშეების გადინებაა, რაც ყველაზე სამწუხაროა, გარკვეულ წილად არა მო-წინავე სარაგბო ქვეყნებშიც (პოლონეთი, ჩეხეთი, ესპანეთი, გერმანია, უკრაინა). ეს ადგილზე რალაც დოზით ვაკუ-უმს წარმოქმნის და ამ მორაგბეების

შემდეგი ზრდაც ფერხდება. - რა უნდა გააკეთოს რაგბის კავშირმა საიმისოდ, რომ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვლაოს?

- იანვრის ბოლომდე რაგბის კავშირმა უნდა შეიმუშაოს ოთხწლიანი პროგრამა, მკაფიოდ გამოხატული პრიორიტეტებითა და მიმართულებებით, რომელიც დეტალურად ინება გაწერილი

დროსა და ფულში. ეს პრიორიტეტებია: ბავშვთა რაგბი, ყველა ასაკში საქართველოს ჩემპიონატის დონის ამაღლება, სერიოზული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, რომელიც აუცილებე-ლია, პირველი ორის განსახორციელებლად. ასევე საკლუბო ინფრასტრუქტურის გამართვა, რაშიც რაგბის კავშირი აქტიურად მიიღებს მონაწილეობას. სარაგბო საშეჯიბრო პროცესში ჩართული ყველა პერსონის კვალიფიკაციის ამაღლება. მწვრთნელებს, მსაჯებს, მენეჯერებს მივავლენთ უცხოეთში სტა-ჟირებაზე, ამასთან მოვინვევთ რეგულარულად უცხოელ მაღალი დონის სპეციალისტებს სემინარების ჩასატარებლად. როგორც შედეგი ოთხწლიანი ციკლის ბოლოს ჩვენ უნდა მივიღოთ გამართული, მწყობრი სისტემა, რომელიც ავტომატურად იმუშავებს.

- ყოველივე ამის განხორციელებას სერიოზული სახსრები სჭირდება. რა წყაროები გააჩნია საამისოდ რაგპის კავშირს?

- დიახ, ეს ასეა. წინ საკმაოდ შრომატევადი სამუშაო გველის, შესაბამისად, აუცილებელი სერიოზული თანხებით. დაფინანსების რამდენიმე წყარო გვექნება. პირველი, საქართველოს ხელისუფლების მიერ ამასწინათ გამოქვეყნებული რაგბის განვითარების პროგრამაა. რაც უდაოდ უპრეცედენტოა ქართული რაგპის სინამდვილეში. ოთხწლიან ციკლში ეს პროგრამა ჩვენ მოგვცემს საშუალებას, სერიოზულად გამო ვასწოროთ მდგომარეობა რეგიონებში. შევქმნათ ბაზები, სარაგბო სკოლები. ამასთან ამ პროგრამით გათვალისწინებული ფინანსური დახმარება საშუალებას მოგვცემს განვავითაროთ, ზემოთჩამოთვლილი პრიორიტეტული მიმართულებები. რაგბი უნდა გახდეს სპორტის მასობრივი სახეობა.

ჩვენი საბოლოო მიზანია: რაგბი ყველა რეგიონში, ყველა სოფელში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ჯარში, ძალოვან სტრუქტურებში. ანუ გვინდა ამ თამაშში ჩვენი მოსახლეობის რაც შეიძლება დიდი ნაწილი ჩავრთოთ, რაც აუცილებლად მოვგცემს დადებით შედეგს.

მეორე დაფინანსების წყარო რაგბის საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებაა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, IRB აპირებს ამ დახმარების ოდენობის გაზრდას. აქ საუბარი ცხადია, მხოლოდ ფინანსურ დახმარებაზე არაა. IRB ხელს შეგვიწყობს, რათა საქართველოს ნაკრებმა, რაც შეიძლება მეტი შეხვედრა გამართოს მაღალი დონის გუნდებთან, რის გარეშეც პროგრესის მიღწევა შეუძლებელია

და მესამე, სპონსორები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბიზნეს სამყაროს ისეთი წინადადებებით მივმართავთ, რომ მათი წილი რაგბის განვითარებაში ძალიან დიდი იქნება. მათი, სპონსორების დახმარების გარეშე, მარტო სახელმწიფო და რაგბის კავშირი რაგბის განვითარებას ვერაფრით შეძლებს.

თუ ეს ყველაფერი განხორციელდა, შედეგად მივიღებთ: მასობრივ ბავშვთა რაგბს, კვალიფიციურ მწერთნელებს, მენეჯერებს, 2010 წლისთვის - ათგუნდა პროფესიულ ლიგას, გაცილებით მაღალი დონის პირველ, ჭაბუკთა და A და B ლიგებს, რომლებსაც მოემსახურება მაღალი კვალიფიკაციის მსაჯთა კორპუსი. მივიღებთ ასევე შეუდარებლად განვითარებულ ინფრასტრუქტურას. ყოველივე ამის გვირგვინი კი ლოგიკურად უნდა იყოს წარმატებები ყველა ასაკობრივ სანაკრებო დონეზე.

ბესიკ 3256853540

COMCONE NOCECUNECIO

დასრულდა აჭარის ჩემპიონატი, რომელიც 2007 წლის ბოლო ტურნირი გახლდათ. შეჯიბრების მთავარი მიზანი აჭარის ნაკრების დაკომლექტება გახლდათ, რომელიც მონაწილეობას მიიღებს 2008 წელს კალენდარული გეგმით გათვა-ლისწინებულ ტურნირებში. სამწუხაროდ, ჩემპიონატზე არ უასპარეზიათ აჭარის წამყვან ფალავნებს. კობა კაკალაძე (66 კგ), მარად ზოიძე (74 კგ) და ბექა ჭელიძე (84 კგ) საქართველოს ნაკრების ნევრები არიან და ქვეყნის პირველ გუნდთან ერთად ბაკურიანში საწვრთნელ შეკრებას გადიან.

ჩემპიონატში აჭარის ყველა რეგიონის სპორტსმენმა მიილო მონაწილეობა. ფალავანთა რაოდენობა 80 აჭარბებდა. გუნდური პირველი ადგილი ბათუმის ნაკრებმა (მწვრთნელები ჯემალ კილაძე, მარად ზო-იძე, თემურ ხაბაძე) მოიპოვა, მეორეზე ხელვაჩაურის (მწვრთნელი სულიკო ქოქოლაძე), მესამე ადგილზე კი ხულოს (ზაურ დეკანაძე) გუნდი გავიდა. შემდეგ ადგილებზე კი ქედის (ზაზა ღოღობერიძე), ქობულეთისა (ჯემალ ყულეჯიშვილი) და შუახევის (შოთა

ზოიძე) გავიდნენ. წონითი კატეგორიების მიხედვით კი აჭარის ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ:

> ირაკლი Დბრცმელიძე 35000906

50 38.

1. നമ്പട്രെറായ പ്രാധാരവാ (മാത്താരവ) 2 ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲪᲔᲪᲮᲚᲐᲫᲔ (ᲮᲣᲚᲝ) 3. ᲙᲐᲮᲐ ᲮᲘᲛᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲛᲣᲐᲮᲔᲕᲘ) 3. ᲜᲣᲙᲠᲘ ᲤᲐᲠᲢᲔᲜᲐᲫᲔ (ᲥᲔᲓᲐ)

55 38.

 1. りゃくらばいるのではいる。
 1. りゃくらばいるのではいる。 2. ᲘᲠᲐᲫᲚᲘ ᲑᲔᲥᲐᲜᲘᲫᲔ (ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘ): 3. ᲒᲘᲥᲘᲙᲝ ᲐᲒᲣᲡᲔᲠᲘᲫᲔ (ᲒᲐᲗᲣᲛᲘ) 3. ᲠᲝᲛᲐᲜ ᲛᲔᲙᲔᲘᲫᲔ (ᲮᲣᲚᲝ)

60 38.

1. %305@ Mdk5d0 (k0ლ35857K0) 2. ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲯᲔᲚᲘᲫᲔ (ᲒᲐᲗᲣᲛᲘ) 3. 33585 873858040 (8507790) 3. ᲛᲘᲠ%Ა ᲙᲐᲮᲘᲫᲔ (ᲒᲐᲗᲣᲛᲘ)

1. 83658 4532505 (8507380) 3. Mask aststasta (asiman) 3. ᲠᲝᲘᲜ ᲘᲠᲔᲛᲐᲫᲔ (ᲮᲣᲚᲝ)

74 Ja. 1. 8M65 a5ლ5d0 (dMa7)ლ000)


2. ᲐᲡᲚᲐᲜ ᲨᲐᲠᲐᲫᲔ (ᲒᲐᲗᲣᲛᲘ) 3. ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲘᲛᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲒᲐᲗᲣᲛᲘ) 3.32/160 92/2013 (92/01/36)

84 38.

1. 858735 JMK4505 (850T780) 2. ১ᲠᲩᲘᲚ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲫᲔ (ᲒᲐᲗᲣᲛᲘ) 3. 30% 40% 320% 33540 (\$5000) 3. ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲥᲝᲑᲣᲚ.)

96 38.

1. ᲓᲐᲕᲘᲗ ᲕᲐᲠᲨᲐᲜᲘᲫᲔ (ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘ) 2.35585 %5556560 (6023585760) 3.8055865040(8500000) 3. ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲜᲣᲨᲘᲫᲔ (ᲒᲐᲗᲣᲛᲘ)



გურამ ტურაშვილის ფოტი



30COM636MA

3360 1033 31433619

ლეგენდარული ამერიკელი გოლფისტის, **ტაიგერ ვუდსის** წარმატებები უკვე აღარავის უკვირს. ამ ბრწყინვალე სპორტსმენმა ეს სეზონიც ტრიუმფით და-ასრულა - ვუდსი გოლფის პროფესიული ტურის (PGA Tour) საუკეთესო ამერიკელ მოთამაშედ დაასახელეს.

ტაიგერმა ეს ტიტული ზედიზედ მესამედ დაიმსახურა, სულ კი, ბოლო 11 სეზონის განმავლობაში, ამ გამოკითხვაში მეცხრედ (!) გაიმარჯვა.

<u>ᲜᲐᲮᲔᲠᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲦ ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ</u>

"Დენ3ერ ნაგეტსის" ფორვარდს **ედუარდო ნახერას** კლუბთან კონტრაქტი ამ სეზონის შემდეგ უმთავრდება. მექსიკელ კალათბურთელს გუნდში დარჩენის დიდი სურვილი აქვს და ამის გამო, მზად არის დაბალი ხელფასის საზღაურადაც ითამაშოს "ნაგეტსის" რიგებში.

"კარიერის გაგრძელების სხვა ვარიანტებს არც განვიხილავ. მინდა მომავალი რამდენიმე წელი სტაბილურობა გარანტირებული მქონდეს", - განაცხადა ნახერამ სააგენტო "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ᲠᲝᲣᲖᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲣᲜᲦᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

"ნՐΤ იორპ ნიპსის" ფორვარდი მალიკ როუზი გუნდის ხელმძღვანელობისგან სხვა კლუბში გაშვებას ითხოვს. კალათბურთელს არ მოსწონს ის, რომ მთავა-რი მწვრთნელი **აიზია ტომასი** მას არასაკმარის სათამაშო დროს აძლევს. თავის მხრივ, "ნიქსის" დამრიგებელმა განაცხადა, რომ მისი გუნდის შემადგენლობაში არანაირი ცვლილება არ იგეგმება და როუზი "ნიუ იორკში" დარჩება.

"მალიკი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი და ჩვენი ახალგაზრდა კალათბურთელეპისთვის მისაბაძი მაგალითია. არავის გაცელას არ ვაპირებთ, რადგან კმაყოფილები ვართ იმ მოთამაშეებით, რომლებიც ამ მომენტისთვის ჩვენს განკარგულეპაში არიან", - აცხადებს რეგულარული ჩემპიონატის აუთსაიდერი გუნდის მთავარი მწვრთნელი.

ᲘᲣᲒᲐ ᲒᲘᲠᲘᲩᲔᲙᲡ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲡ?

